№ 51
(12 019)
7 – 10 ივლისი, 2006 წ.
ფასი 40 თ.
გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან • გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში: http://www.opentext.org.ge/lelo

# «ჩვენებურთა» ფინალი

9 ივლისს, ბერლინში თბილისის დროით 22 საათზე დაიწყება მსოფლიოს საფეხბურთო ჩემპიონატის ფინალური შეხვედრა, რომელშიც ერთმანეთს დაუპირისპირდებიან იტალიისა და საფრანგეთის ნაკრებები. ორივე გუნდი ევროპის 2008 წლის ჩემპიონატის შესარჩევ ეტაპზე საქართველოს ნაკრების მეტოქეა. ცხადია, ასეთი ფინალი განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს.

ერთი დღით ადრე, 8 ივლისს, შტუტგარტში მესამე ადგილისათვის იბრძოლებენ გერმანიისა და პორტუგალიის ნაკრებები. მატჩი 23 საათზე დაიწყება.





ზიდანი უკანასკნელ მატჩს ჩაატარებს

# მილოცვები



საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა დეპარტამენტი და ჭიდაობის ეროვნული ფედერაცია დაბადების დღეს ულოცავენ თავისუფალ ჭიდაობაში ოლიმპიური თამაშების ჩემპიონს და პრიზიორს, მსოფლიოს ხუთგზის ჩემპიონს და თასის მფლობელს, ევროპის ორგზის ჩემპიონს, სსრ კავშირის სამგზის ჩემპიონს, მრავალ საერთაშორისო ტურნირებში გამარჯვებულს, საქართველოს 1987 წლის საუკეთესო სპორტსმენს, საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის პირველ ვიცე-პრეზიდენტს, ბრწყინვალე პიროვნებას **ლერი ხაბელოვს.**

საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი დაბადების დღეს ულოცავს ამავე კომიტეტის პირველ ვიცე-პრეზიდენტს, თავისუფალ ჭიდაობაში ოლიმპიური თამაშების ჩემპიონს (1992) და ვიცე-ჩემპიონს (1988), მსოფლიო, ევროპის და სსრ კავშირის მრავალგზის ჩემპიონს, სპორტის დამსახურებულ ოსტატს **ლერი ხაბელოვს.**

X X X

„ლელოს" რედაქცია უერთდება ამ მილოცვებს.

X X X



საქართველოს ჭიდაობის ეროვნული ფედერაცია და ლევან თედიაშვილის სახელობის ჭიდაობის სახეობათა ოლიმპიური მზადების ცენტრის კოლექტივი, დაბადებიდან 60 წლისთავს ულოცავს საქართველოს დამსახურებულ მწვრთნელს თავისუფალ ჭიდაობაში, შესანიშნავ სელექციონერსა და აღმზრდელს **თენგიზ დამბაშიძეს.**

## გიორგი შოშიაშვილი „ბრინჯაოთი" დაგვიბრუნდა

სასიხარულოა ქ. თბილისის მერიის სპორტის საქალაქო სამსახურის (უფროსი ზ.დოლიძე), გ. ეგნატაშვილის სახელობის ტანვარჯიშის სახეობათა ოლიმპიური მზადების ცენტრის (გენ. დირექტორი — **რ. ბერიკაშვილი**) ბოლოდროინდელი წარმატებები. ჯერ ბატუტზე მხტომელებმა გამოიჩინეს თავი ევროპის ჩემპიონატზე — 1 ოქროს და 1 ბრინჯაოს მედალი მოიპოვეს, მერე, სპორტულმა ტანმოვარჯიშეებმა ერევანში აზარიანის სახელობის საერთაშორისო ტურნირზე 1 ვერცხლის და 4 ბრინჯაოს მედალი დაისაკუთრეს, ახლა კი სტავროპოლიდან დაგვიბრუნდნენ აკრობატები, რომლებიც მონაწილეობდნენ საერთაშორისო ტურნირში „მოხტუნავე ვარსკვლავები". ტურნირში საქართველოს გარდა გამოდიოდნენ სამხრეთ აფრიკის, საბერძნეთის, უზბეკეთის, ყაზახეთის, ბელარუსიის და რუსეთის უძლიერესი აკრობატები. საქართველოს ღირსებას იცავდა ზემოაღნიშნული ცენტრის აღსაზრდელი, 2005 წლის მსოფლიო ჩემპიონატის ფინალისტი იუნიორებს შორის **გიორგი შოშიაშვილი.** გიორგიმ ამ შეჯიბრებაზე მესამე საპრიზო ადგილი და ბრინჯაოს მედალი მოიპოვა. მისი მწვრთნელია საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი **ნუგზარ ძუკაევი.**



„გიორგიმ 2005 წლის მსოფლიო ჩემპიონატის შემდეგ 10 სავალდებულო ილეთი ერთად მხოლოდ ამ შეჯიბრებაზე შეასრულა, ვინაიდან საქართველოში მთელი კომბინაციის შესრულების პირობები არ გაგვაჩნია, მაგრამ იმედს ვიტოვებთ, მდგომარეობა გამოსწორდება და უფრო მეტ მედლებს მოვუტანთ საქართველოს" — უთხრა „ლელოს" კორესპონდენტს ნ. ძუკაევმა.

სურათზე გიორგი შოშიაშვილი.

ჭიდაობა. ევროპის ახალგაზრდული პირველობა

## ნერვიულობა და ერთი ვერცხლის მედალი



არ არის პირველი შემთხვევა, როცა ვიზების დაგვიანების გამო, საქართველოს სპორტსმენების, კერძოდ, ამჯერად თავისუფალი სტილის მოჭიდავეთა ახალგაზრდული გუნდის გამგზავრებას თანატოლთა ევროპის ჩემპიონატზე უნგრეთში, დიდი ნერვიულობა და ვნებათა ღელვა მოჰყვა. საქმე იმაშია, რომ უნგრეთის საელჩო საქართველოში არ არის და ვიზების გაცემა ტურნირის მასპინძელმა ქვეყანამ კიევში თავის საელჩოს დაავალა. გამგზავრებამდე მხოლოდ რამდენიმე საათით ადრე მოვიდა დასტური თბილისში, მაგრამ სრული გუნდის წაყვანა უკვე უაზრობა იყო, — ოთხ წონაში შეჯიბრებაზე ველარ ასწრებდნენ. ამიტომ ეს ოთხი მოჭიდავე შინ დატოვეს და არასრული გუნდით გაემგზავრა დელეგაცია ტურნირზე. ვინც წავიდა, მათაც აეროპორტიდან გეზი პირდაპირ შეჯიბრების ადგილსკენ უნდა აეღოთ, აწონვაზე მისასწრებად.

აი, ასეთ დაძაბულ ვითარებაში ჩაებნენ ტურნირში ჩვენი ახალგაზრდები უნგრეთის ქალაქ სომბათჰეიში. ტურნირი ჩვენს ოთხეულს ურიგოდ არ დაუწყიათ, მაგრამ ფინალამდე მძიმეწონოსანმა **დავით მოძმანაშვილმა** მიაღწია. გადამწყვეტი შერკინება კი თურქ **მეჰმედ იესილთან** დათმო და ვერცხლის მედალს დასჯერდა. მესამე საპრიზო ადგილზე გასვლის შანსი გაუშვეს ხელიდან **მურთაზ კვესაძემ** (55 კგ) და **ბექა ჭელიძემ** (84). საბოლოოდ, ორივე V ადგილზე დარჩა. კიდევ ერთი ჩვენიანი — ცოტნე ბარამიძე (66) XIII ადგილზე გავიდა.

როგორც ჭიდაობის ეროვნული ფედერაციიდან გვაცნობეს, ხვალ ასპარეზობაში ბერძნულ-რომაული სტილის მოჭიდავეები ჩაერთვებიან.

## ელისონდო იმსაჯებს...

გუშინ ცნობილი გახდა, რომ მსოფლიოს საფეხბურთო ჩემპიონატის ფინალურ შეხვედრას იტალიისა და საფრანგეთის ნაკრებებს შორის იმსაჯებს არგენტინელი ორასიო ელისონდო, აქამდე მან იმსაჯა ჩემპიონატის გახსნითი მატჩში გერმანიისა და კოსტა-რიკის გუნდების მონაწილეობით.



## რამდენი წლისაა ქართული ფეხბურთი? 3

ქართული ფეხბურთის ისტორიის კვლევა გრძელდება

# გაზეთის დაბეჭდვამდე:

## ზინედინ ზიდანი — „ოქროს ბურთის" კანდიდატი

ფიფამ დაასახელა „ოქროს ბურთის" კანდიდატთა სია, რომელსაც სათავეში ჩაუდგა ფრანგი ზინედინ ზიდანი. მის გარდა სიაში არიან აგრეთვე ფაბიო კანავარო (იტალია), მანიშე (პორტუგალია), მიხაელ ბალაკი (გერმანია), ანდრეა პირლო (იტალია), ჯანლუკა ძამბროტა (იტალია), ტიერი ანრი (საფრანგეთი), ჯანლუიჯი ბუფონი (იტალია), პატრიკ ვიეირა (საფრანგეთი), მიროსლავ კლოზე (გერმანია).



## არ ეშინიათ...

იტალიის ნაკრების მცველმა მარკო მატერაციმ განაცხადა, რომ არ თვლის საშიშ მოწინააღმდეგედ ფრანგული ფეხბურთის ვარსკვლავს ზინედინ ზიდანს.

„ზიდანი? ჩვენ გვყავს მოთამაშეები, რომელთაც ძალუძთ მისი ჩაკეტვა. ერთ-ერთი ასეთი ჯენარო გატუზოა," — ამბობს მატერაცი.

## პლასიდო დომინგოც იმღერებს

ცნობილი გახდა, რომ მსოფლიო ჩემპიონატის ფინალური მატჩის დაწყებამდე ბერლინის სტადიონზე შეკრებილთა წინაშე იმღერებს შაკირა, ხოლო შესვენებისას გამოვა ესპანელი ტენორი პლასიდო დომინგო.

## კლოზემ შესაძლოა არ ითამაშოს

გერმანიის ნაკრების თავდამსხმელმა მიროსლავ კლოზემ შესაძლოა ვერ იასპარეზოს მსოფლიო ჩემპიონატის მესამე ადგილისათვის შეხვედრაში პორტუგალიელებთან.

ამის მიზეზი ტრავმაა, თუმცა, თავად ფეხბურთელი იმედოვნებს, რომ ტკივილები გაუვლის და ხვალ მოედანზე გამოვა.



## შარაპოვა მორესმოსთან დამარცხდა

უიმბლდონის საჩოგბურთო ტურნირზე, გუშინ, რუსმა მარია შარაპოვამ ფრანგ ამელი მორესმოსთან წააგო 3:6, 6:3, 2:6.

ბელგიელმა ჟიუსტინ ენენ-არდენმა თანამემამულე კიმ კლოისტერს სძლია 6:4, 7:6.

რაგბი. საქართველოს თასი

## დებოში, ჩხუბი, გინება — არ გეკადრებათ მორაგბეებო!

დასავლეთ საქართველოშიც გადაუღებლად წვიმს. სწორედ ეს გახდა მიზეზი, რომ ქუთაისის „ტორპედოს" სტადიონზე, სადაც „აია" თავის შეხვედრებს მართავს საქართველოს თასზე, მინდვრის დაცვის მიზნით, ქუთაისელმა მორაგბეებმა „არმაზის" მასპინძლობა სამტრედიაში გადაწყვიტეს. იქ, სოფ. ბაშის სტადიონზე მოხდა ინციდენტი. მაშინ, როცა ქუთაისელები შეხვედრას იგებდნენ 18:8, მსაჯზე გაბრაზების საბაბით, „არმაზის" მორაგბეებმა დებოში წამოიწყეს, რაც ხელჩართულ ჩხუბში გადაიზარდა. ამ შეხლა-შემოხლაში არც მსაჯი დარჩენილა „უყურადღებოდ". მართალია, არბიტრი არ უცემიათ, მაგრამ გვარიანად კი აგინეს.

მოკლედ, მატჩი ჩაიშალა. ახლა ყველაფერი დამოკიდებულია ფედერაციის გადაწყვეტილებაზე. თუ გამარჯვება „აიას" ჩაეთვლება, მაშინ ეს გუნდი მეორე ადგილზე გავა, რაც თასის ნახევარფინალში თამაშის გარანტიას იძლევა.

## მემკვიდრეობა

# კოლია ქვარიანის აუსრულებელი ანდერძი...



რუბრიკას უძღვება მსოფლიოს ორგზის ჩემპიონი თავისუფალ ჭიდაობაში, სპორტის დამსახურებული ოსტატი გურამ საღარაძე.



ჩვენ უკვე ვწერდით, რომ იყო დრო, როცა სსრ კავშირის ნაკრებში ძირითად ბირთვს წარმოადგენდნენ ქართველი ფალავნები, როგორც თავისუფალ, ისე ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში.

1958 წელს თავისუფალი სტილის მოჭიდავეთა ტურნე მოეწყო აშშ-ში. აქაც ქართველი მოჭიდავეები დომინირებდნენ. ეს იყო პირველი შემთხვევა, როცა ქართველ სპორტსმენებს გზა გაეხსნათ ამერიკის კონტინენტისკენ.

მათ ალბათ არ იცოდნენ რა მოულოდნელი სიხარული ელოდათ მათაც და იმ ქართველსაც, რომელიც მათ იქ, ნიუ-იორკში იხილეს. ეს იყო კოლია ქვარიანი, წარსულში ცნობილი ქუთაისელი ფალავანი.

ქართველი ფალავანი 1928 წელს გაემგზავრა აშშ-ში და თავისი ცხოვრებისა და მოღვაწეობის უდიდესი ნაწილი მან ნიუ-იორკში გაატარა. იყო კეტჩის კლუბის მეპატრონე, ჰქონდა უნიკალური ბიბლიოთეკა. ფლობდა 19 ენას, მას არც ერთი ორთაბრძოლა არ წაუგია.

გიორგი სხირტლაძე: „პირველივე შეხვედრაზე ცრემლი წამოუვიდა და ჩვენც აგვიჩუყდა გული. მოიკითხა ყველა, ვისთანაც კი უჭიდავია, განსაკუთრებით, ქართველი გოლიათი სანდრო კანდელაკი, მიშიკო მაჩაბელი და სხვები. ჩვენს ყველა შეხვედრას სხვადასხვა შტატებში დაესწრო და ბავშვივით უხაროდა ყველა ჩვენი გამარჯვება. წამოსვლისას ერთი კი მითხრა, ჩემს დაიკოს მოკითხვა გადაეციო და უთხარი, რომ ძალიან მომენატრა შენი გაკეთებული, ქუთაისური ტყემალიო და ისევ ცრემლმორეულმა გამოგვაცილა სამშობლოში".

უდიდესი პატივისცემითა და ავტორიტეტით სარგებლობდა ქუთაისში სრულიად ახალგაზრდა, აპოლონივით ლამაზი აღნაგობის კოლია ქვარიანი. გვერდიდან არ შორდებოდნენ და ყველა მის ორთაბრძოლას ესწრებოდნენ თანაკლასელები, ჩვენი სახელოვანი მწერლები კოლაუ ნადირაძე და პაოლო იაშვილი, სწორედ მათ მიუყვანეს იგი ქუთაისის ცირკში სერგო ქუთათელაძეს, რომელიც პირველი ქართველი იმპრესარიო იყო.

20-იან წლებში თბილისში, დიდუბეში, „იტალიის ბაღში" მოწყობილ საჭიდაო წრეს სერგო ქუთათელაძე თავკაცობდა. ახალგაზრდა კოლია ქვარიანმა მალე გამოიჩინა თავი და ზედიზედ დაამარცხა ისეთი აღიარებული ფალავნები, როგორებიც იყვნენ ფრანგი ჟან დე კოლონი, ვოლენოვი, მურომეცი, ვანო მედელაური, ზანგი ჯოე მორა. თავისი ლამაზი ჭიდაობითა და საოცარი ფიზიკური მონაცემებით თბილისელთა უდიდესი სიმპათია და სიყვარული დაიმსახურა.

კ. ქვარიანთან სიახლოვე ჰქონდა აკაკი ბელიაშვილს, სახელმწიფო პრემიის ლაურეატს დავით ბადრიძეს, რეჟისორ ნიკოლოზ პიპინაშვილს და ჩვენი ინტელიგენციის მრავალ სხვა წარმომადგენელს.

აი, რას წერს მისი ერთ-ერთი გულშემატკივარი თბილისელი ნიკოლოზ ივანიშვილი: „ცნობილი თბილისელი ფალავანი შაშო ვერელი ეკამათებოდა ქვარიანს და ძალიან სურდა მასთან ჭიდაობა. კოლია უარზე იდგა. არ სურდა შაშო ვერელის სახელის წახდენა. არ მოასვენა შაშომ, წაგაქცევ, იმიტომ არ მეჭიდებიო. გაცხარებულა კოლია, უტაცნია ხელი და ყოველგვარი ილეთის გარეშე დაუნარცხებია, ძლივს წამოუყენებიათ შაშო."

მის მიერ დამარცხებულთა სიაში იყვნენ ისეთი ფალავნები, რომელთა სახელები ქუხდნენ ჭიდაობის სამყაროში — კლემენტე ბული, ვახტუროვი, ბაშკიროვი, დუტომსკი, გენჯალი, კარა ზაგუკოვი და მრავალი სხვა.

ცნობილი ქართველი მოჭიდავე შალვა ჩიხლაძე 9 წლისა ყოფილა, როცა პირველად, 1920 წელს გამყრელიძისეულ ცირკში უნახავს კოლია ქვარიანი. ის იგონებს: „ანტიკური ხანის ქანდაკების მსგავსი ჩამოსხმული ტანის პატრონი, ერთიმეორის მიყოლებით ამარცხებდა პროფესიონალ მოჭიდავეებს, სახლში, რომ დავბრუნდი. მთელი ღამე არ მიძინია, მას შემდეგ ოცნებად გადამექცა, რომ მეც დიდი მოჭიდავე გამოვსულიყავი".

იმ პერიოდის ცნობილი ფალავნის, სერგო კაკაურიძის ქალიშვილის, ლალი კაკაურიძის ნაამბობიდან: „1951 წელს ჩვენს ოჯახს ეწვია ცნობილი ფალავანი პავლე ზაგორუიკო, აი, რა უთქვამს მას თვალზე ცრემლმომდგარს: „არა, პოდუბნის, ქვარიანის, მაჩაბელის განმეორება არ შეიძლება, ისინი ჩვენი ცხოვრების საინტერესო თანამგზავრები იყვნენო".

კოლია ქვარიანი მთელი ცხოვრება ოცნებობდა საქართველოში დაბრუნებაზე. ერთხელ ამერიკაში ჩასულ თავისი მეგობრისთვის, ცნობილი მწერლის აკაკი ბელიაშვილისთვის უთქვამს „მე ჩემს ცოლს დავუბარე ანდერძი, რომ მოვკვდები დამწვას, ფერფლი წაიღოს და ქუთაისის ქუჩებში მიმოაბნიოსო". ოცნება ოცნებად დარჩა, მეუღლე ადრე გარდაეცვალა, 1973 წელს. 1980 წლის 27 თებერვალს ცხოვრებით დაღლილმა მარტოობამ, დარდმა და მწუხარებამ დაასრულა თავისი ცხოვრება. ასეთ ფალავნებს სამშობლო არასოდეს დაივიწყებს.



ფოტოზე: მარცხნიდან — მირიან ცალქალამანიძე, ვახტანგ ბალავაძე, ანტონინო როკკა — კოლია ქვარიანის შეგირდი, ცნობილი კეტჩისტი (რომელიც შემდეგ იშვილა), ოთარ კანდელაკი და გიორგი სხირტლაძე.

ფოტო მოგვაწოდა გიორგი სხირტლაძემ, რისთვისაც „ლელოს" რედაქცია მას უღრმეს მადლობას მოახსენებს.

## სპორტი რეგიონებში

# სპორტული წალენჯიხა

წალენჯიხას, ტრადიციულად, საქართველოს სპორტული პოტენციალის ქალაქებსა და რაიონებს შორის თავისი წვლილით ღირსეული ადგილი ეკავა და უკავია დღესაც. აღსანიშნავია გასული საუკუნის 50-იან წლებში წალენჯიხელ მხედართა, **ჭიჭიკო და ხათა კვარაცხელიების, გეგეგე მიქავას, კონსტანტინე კვირკვიასა და შალვა კვარაცხელიას**, ქალბატონ **შურა ჯანაშიას** და სხვათა წარმატებები რესპუბლიკურ და საკავშირო სარბიელზე. ამჟამად სპორტის ამ სახეობის მოგონებაღა დაგვრჩა, საუბედუროდ. დასავლეთ საქართველოში ერთ-ერთი უძლიერესი საფეხბურთო გუნდი იყო „სუბტროპიკი", შემდგომ „კოლმეურნე", რომელიც ამჟამად „სქურის" სახელწოდებით ასპარეზობს.

დიდი ყურადღება ექცეოდა ქართულ ჭიდაობას, მიუხედავად იმისა, რომ მაშინ საჭიდაო დარბაზები ნაკლებად იყო.

2005 წელი, როგორც მთლიანად საქართველოსათვის, ისე წალენჯიხის რაიონის სპორტული ცხოვრებისათვის ღირსშესანიშნავი და საეტაპო მნიშვნელობის იყო. მანამდე არნახული ნაბიჯი გადაიდგა სპორტის მატერიალური ბაზის შემდგომი განვითარებისათვის. ამაზე ნათლად მეტყველებს საქართველოს სპორტის დეპარტამენტის მიერ 2005 წელს გამოცემული მეტად საინტერესო და უნიკალური ჟურნალ „ქართულ სპორტში" გამოქვეყნებული ფაქტები. გამოცემაში წალენჯიხა ღირსეულადაა წარმოდგენილი თავისი განახლებული სპორტული ინფრასტრუქტურით. აქლია მხოლოდ ყველაზე არსებითი — საჭიდაო დარბაზი, რომელიც წლის ბოლოს აშენდა და ამის გამო ვერ მოხდა დასახელებულ ჟურნალში.

რაიონის გამგებელი **ტარიელ ჯანჯღავა** ის პიროვნებაა, რომელსაც შინაგანად უყვარს სპორტი და ყველაფერს აკეთებს მისი შემდგომი განვითარებისათვის. შარშან სპორტის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნის, არსებულის აღდგენისა და სარეკონსტრუქციო სამუშაოების შესრულებისათვის 100 ათას ლარზე მეტი თანხა იქნა გაღებული ბიუჯეტიდან. აქ არ შედის მასობრივი სპორტის განვითარებისათვის, სპორტის სხვადასხვა სახეობათა დაფინანსებისათვის გამოყოფილი 32 ათასი ლარი.

ყველაზე მთავარი მაინც, როგორც მოგახსენეთ, ისაა, რომ წალენჯიხელმა მოჭიდავეებმა მიიღეს თანამედროვე საჭიდაო დარბაზი. გაგვაჩნია ახალი ხალიჩა გადასაფარებლით. ცნობისათვის ვიტყვით, რომ წალენჯიხის საჭიდაო სკოლაში აღიზარდნენ ქვეყნის, ევროპის, აზიისა და მსოფლიოს ჩემპიონები და პრიზიორები: **გიორგი წურწუმია, ძმები მალხაზ და მიშიკო ზარქუები, დათო მორგოშია**. მართალია, გიორგი წურწუმიამ აზიის კონტინენტის და ათენის ოლიმპიადის მედლები ყაზახეთს მოუტანა, მაგრამ მის სპორტულ კარიერას წალენჯიხაში ჩაეყარა საფუძველი, აქედან გავიდა იგი მსოფლიო არენაზე. ამას, ცხადია, განვიცდით, მაგრამ მისი შენარჩუნება რაიონის ძალებს აღემატებოდა.

სულ ახლახან ფიდემ თავის საპრეზიდენტო საბჭოს გადაწყვეტილებით დიდოსტატის წოდება მიანიჭა თანამედროვეობის ერთ-ერთ უძლიერეს მოჭადრაკეს, მსოფლიოს ჩემპიონს წალენჯიხელ **კოკა შანავას**. ამ დღეებში საქართველოს ჩემპიონი გახდა ჭადრაკში **დათო ზარქუა**, რომელმაც, ამასთან, მოიპოვა მსოფლიო ჩემპიონატის საგზური. საქართველოს ჩემპიონია მოსწავლე **სალომე მოსიძე. გია ხარჩილავა, ლევან როგავა, ბაკურ გაბუნია, ჯაბა ხარჩილავა** კარატეში მსოფლიო ჩემპიონები არიან.

ტ. გრანელის სახელობის პარკში საქართველოს სპორტის დეპარტამენტის დაფინანსებით მოეწყო კომპლექსური სპორტული მოედანი და კორტი. ცენტრალურ სტადიონს ჩაუტარდა კაპიტალური რემონტი. შეძენილია სპორტული ინვენტარი.

წლეულს ქ. წალენჯიხის საცურაო აუზის აღდგენა და ხელოვნურსაფარიანი კომპლექსური მოედნის მოწყობაა დაგეგმილი. ქ. ჯვარში სპორტული ბაზის სარეაბილიტაციო სამუშაოები ჩატარდება, სოფლებში კი არსებული მოედნები კეთილმოეწყობა.

წალენჯიხისა და ჯვარის საჭიდაო სკოლებში ბევრია პერსპექტიული მოზარდი. 100-მდე მოჭიდავე სისტემატურად მონაწილეობს საქართველოს სპორტის დეპარტამენტის ოლიმპიური რეზერვების სასწავლებლის მიერ მოწყობილ შეჯიბრებებსა და ტურნირებში. ანალოგიურად ასპარეზობენ ქვეყნის პირველობებში მოჭადრაკეები, კალათბურთელები, კარატისტები, ფრენბურთელები, სხვადასხვა ასაკის ნორჩი ფეხბურთელები, (6 გუნდი) და საფეხბურთო საკლუბო გუნდი „სქური", რომელთა მივლინებებს მთლიანად რაიონის გამგეობა აფინანსებს. სამწუხაროდ, ჯერჯერობით სპორტის არც ერთ სახეობას არ ჰყავს სპონსორი და დამფინანსებელი.

სპორტის დიდი ზეიმი იყო ამ დღეებში ქალაქის სპორტკომპლექსში, სადაც ჩატარდა ცნობილი ფეხბურთელისა და მწვრთნელის **ნოდარ** (ცურუ) **კვარაცხელიას** სახელობის ტურნირი მინიფეხბურთში რაიონის ქალაქებისა და სოფლის 25 გუნდის მონაწილეობით. რაიონის გამგებლის განკარგულებით მონაწილე გუნდის წევრებისათვის ფორმის 100 კომპლექტი შეიძინეს. ფინალურ ტურნირში ერთმანეთს შეხვდნენ ფახულანისა და საჩინოს გუნდები. გაიმარჯვეს საჩინოელმა ფეხბურთელებმა. აქვე ჩატარდა ამხანაგური მატჩი ზუგდიდისა და წალენჯიხელ ვეტერან ფეხბურთელებს შორის, რომელიც ნოდარ კვარაცხელიას ხსოვნას მიეძღვნა. მატჩი დამთავრდა ფრედ.





ფასიანი საჩუქრები და დიპლომები ტურნირის საუკეთესო მოთამაშეებს გადასცეს წალენჯიხის რაიონის და ქალაქის ხელმძღვანელებმა, სამეგრელო-ზემო სვანეთის მხარისა და ზუგდიდის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტებმა, **სერგო კვარაცხელიამ** და **როლანდ მაქაცარიამ**. ნ. კვარაცხელიას ოჯახის მიერ დაწესებული გარდამავალი პრიზი გამარჯვებულ გუნდს გადასცა ნოდარ კვარაცხელიას შვილმა **დათა კვარაცხელიამ**.

გაწეული შრომისათვის მადლობას იმსახურებენ მწვრთნელ-მასწავლებლები, ერთიანი ნაციონალური მოძრაობის რაიონული ორგანიზაცია, რომლის თავმჯდომარეა პარლამენტის წევრი **რამინ გოგოხია** და რაიონის გამგეობა. დასახულია მთელი რიგი პრაქტიკული ღონისძიებები სპორტის მატერიალური ბაზის კიდევ უფრო გაფართოებისა და სპორტის შემდგომი განვითარებისათვის.

**ვაჟა აკობია,**
საქართველოს სპორტის დამსახურებული მუშაკი.
ქ. წალენჯიხა.

**P.S. ამჟამად ქ. წალენჯიხის ქვედა მაზანდარის საშუალო სკოლის ეზოში მიმდინარეობს ხელოვნურსაფარიანი ახალი მოედნის მშენებლობა. ქ. ჯვარში კი სრულდება საჭიდაო დარბაზისა და სპორტული მოედნის სარეკუნსტრუქციო სამუშაოები.**

# ცურვა. საქართველოს ღია ჩემპიონატი

## მხოლოდ ტექნიკური შედეგები

**თბილისი, დიღომი. თბილისის მერიის სპორტის საქალაქო სამსახურის ოლიმპიური მზადების სპორტული ცენტრის აუზი, მონაწილეობდა საქართველოს — 108, აზერბაიჯანიდან — 12 მოცურავე.**

**გოგონები. 100 მ. თავ. სტილი:** 1. ნინო ბუხრიკიძე, 2. ნასტია გრივაჩი (ორივე — საქ), 3. გუნელ აჰმედზადე (აზე); **50 მ. ბატერფლაი:** 1. ანა სალნიკოვა (საქ), 2. ლეილა ისლამოვა (აზე), 3. ნინო ბუხრიკიძე (საქ); **50 მ. ბრასი:** 1. ოქსანა გადამხანოვა (აზე), 2. სოფო დეკანოსიძე, 3. თეონა ასათიანი (ორივე — საქ); **200 მ. ბატერფლაი:** 1. ანა სალნიკოვა, 2. ნინო ბუხრიკიძე, 3. გვანცა ხინჩიკაშვილი (სამივე — საქ); **200 მ. გულაღმა ცურვა:** 1. ელენე პაშეტინა (აზე), 2. სოფო თევდორაძე (საქ), 3. საბინა ჰუსეინოვა (აზე); **200 მ. თავ. სტილი.** 1. სოფო თევდორაძე, 2. ნასტია გრივაჩი (ორივე — საქ), 3. გუნელ ახმედზადე (აზე); **100 მ. ბრასი:** 1. ოქსანა გადამხანოვა (აზე), 2. ანა სალნიკოვა, 3. სოფო დეკანოსიძე (ორივე — საქ); **200 მ. ბრასი:** 1. ოქსანა გადამხანოვა (აზე), 2. ანა სალნიკოვა, 3. სოფო დეკანოსიძე (ორივე — საქ); **ვაჟები. 100 მ. თავ. სტილი:** 1. ალექსანდრე მოსეშვილი, 2. ირაკლი რევიშვილი, 3. ოთარ აბდალაძე (სამივე — საქ); **50 მ. ბატერფლაი:** 1. დავით ოქროპირიძე (საქ), 2. ცერალ აბასოვი (აზე), 3. გიორგი ბუხრიკიძე (საქ); **800 მ. თავ. სტილი:** 1. ირაკლი რევიშვილი, 2. კირილე შირიაევი, 3. გიორგი ჩიმაკაძე (სამივე — საქ); **50 მ. ბრასი:** 1. ივანე ლეკვთაძე, 2. ილია მანჯგალაძე, 3. ბესიკ მდივანი (სამივე — საქ); **200 მ. ბატერფლაი:** 1. გიორგი ჩიმაკაძე, 2. ივანე ლეკვთაძე, 3. დავით ოქროპირიძე (სამივე — საქ); **400 მ. თავ. სტილი:** 1. ირაკლი რევიშვილი (საქ), 2. ელგუნ ბაბაევი (აზე), 3. სანდრო ხახანაშვილი (საქ); **200 მ. თავ. სტილი:** 1. ირაკლი რევიშვილი, 2. ალექსანდრე მოსეშვილი, 3. ლაშა მეტრეველი (სამივე — საქ); **400 მ. კომპლექსური:** 1. კირილე შირიაევი (საქ), 2. ელგუნ ბაბაევი (აზე), 3. ალექსანდრე ნემსაძე (საქ); **100 მ. ბრასი:** 1. ივანე ლეკვთაძე, 2. ილია მანჯგალაძე, 3. სანდრო ხახანაშვილი (სამივე — საქ); **200 მ. ბრასი:** 1. ილია მანჯგალაძე, 2. ივანე ლეკვთაძე, 3. ბესიკ მდივანი (სამივე — საქ); **1500 მ. თავ. სტილი:** 1. ირაკლი რევიშვილი, 2. გიორგი ჩიმაკაძე (ორივე — საქ), 3. ფარიდ ჰაჯიზადე (აზე).

# ვიქტორინა

## მძლეოსნობა

**1. დაასახელეთ სპრინტერი, ვინც ვაჟთაგან პირველმა გაირბინა 100 მ. 10 წამზე ნაკლებ დროში?**

ა — ჯიმ ჰაინსი (გერმანია)
ბ — ბობი ჰეისი (აშშ)
გ — დონოვან ბეილი (კანადა)

**2. ვინ გახდა ოლიმპიური ჩემპიონი ათჭიდში 1948 წლის ოლიმპიურ თამაშებში?**

ა — მილტონ კაპბელი (აშშ)
ბ — უილიამ გრუტი (შვედეთი)
გ — რობერტ მათიასი (აშშ)

**3. რომელ წელს გახდა 800 მ. რბენაში ოლიმპიური ჩემპიონი გერმანელი ლინა რადკე?**

ა — 1928 წელს
ბ — 1932 წელს
გ — 1936 წელს

**4. საბჭოთა მძლეოსანი ელვირა ოზოლინა პირველი მძლეოსანი ქალი იყო, რომელმაც ოლიმპიადაზე შუბი 60 მეტრს (61,38) მიღმა ტყორცნა, ფინალში კი დამარცხდა. რომელ წელს მოხდა ეს ფაქტი?**

ა — 1956 წელს
ბ — 1960 წელს
გ — 1964 წელს

**5. ვინ გახდა სსრ კავშირის პირველი ჩემპიონი 110 მ. თარჯრბენში, სიმაღლეზე, სიგრძეზე ხტომასა და ჭოკით ხტომაში?**

ა — ჰ. მაიერი
ბ — ვ. დიაჩკოვი
დ — გ. ათანელაშვილი

წინა ვიქტორინის პასუხები: 1-გ, 2-ა, 3-ბ, 4-გ, 5-ა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# კარატე-დო

საქართველოს კარატე-დოს ეროვნული ფედერაციის საინფორმაციო ფურცელი №44 (58) ივლისი, 2006 წელი

# კახა ბასილია გერმანიაში

## საერთაშორისო სემინარები ჩაატარა

წელს საკმარისზე ცხელი სპორტული ზაფხულის აქვს გერმანიას, რასაც საბრძოლო ხელოვნებათა საერთაშორისო აკადემიის მიერ ჩატარებული სემინარი დაემატა. აკადემიის მიერ გამართულ სემინარებს გერმანიის ქალაქი ალენი მასპინძლობდა.

აღნიშნულ საერთაშორისო სემინარზე საქართველოს კარატე-დოს ეროვნული ფედერაცის პრეზიდენტი კახა ბასილია და ტაეკვანდოს ფედერაციის პრეზიდენტი ავთო მიქაძე იყვნენ მიწვეულნი. სემინარები სამი დღის განმავლობაში, 30 ივნისიდან 3 ივლისის ჩათვლით მიმდინარეობდა. აკადემიის მიერ ორგანიზებულ სემინარებში მსოფლიოს სხვადასხვა საბრძოლო სტილები იყვნენ მიწვეულნი, რამაც მისი მსვლელობა საკმაოდ საინტერესო და მაღალაკადემიური გახადა. სემინარის მაღალი კლასი კიდევ იმან განსაზღვრა, რომ მას საბრძოლო ხელოვნებათ ოსტატი, მეცხრე დანის მფლობელი ჰაკო-რიუში, ავსტრალიელი გიუნტერ ბიეგერსტი ხელმძღვანელობდა. ასევე სემინარებს წარმართავდნენ ტაი-ჯიცუს მაღალი რანგის ბელგიელი ოსტატი, მერვე დანი ჯონი ლენსკი, გერმანელი იურგენ შერჩერმა, მეშვიდე დანი, ხოლო კარატე-დოს სემინარებს კახა ბასილია ხელმძღვანელობდა, ჯიუ-ჯიცუში კი ავთო მიქაძე.

„აღსანიშნავია, რომ საბრძოლო ხელოვნებათა ქართველი ოსტატებისთვის ასეთი რანგის სემინარზე შეფ-ინსტრუქტორის სტატუსით მონაწილეობა პირველი იყო. ჩვენს მიერ ჩატარებულმა სემინარებმა საკმაოდ დიდი მოწონება და მაღალი შეფასება დაიმსახურა მონაწილეთა და სემინარის ხელმძღვანელი სხვა ოსტატებისაგან.

სემინარს 12 ქვეყნის ინსტრუქტორი და მსოფლიო რანგის სპორტსმენი ესწრებოდა. ქართული კარატეს მიმდევრებსა და გულშემატკივრებს კარგი სიახლე ელით: სემინარზე მონაწილე თორმეტივე ქვეყანასთან ხელშეკრულება გაფორმდა სამომავლო თანამშრომლობასთან დაკავშირებით. აღნიშნული ხელშეკრულება თორმეტივე ქვეყნაში, ერთობლივი, საერთასორისო და მსოფლი დონის სემინარების ჩატარებას ითვალისწინებს, რა თქმა უნდა, სათანადო ანაზრაურების შესაბამისად. ვფიქრობთ, რომ ქართული საბრძოლო ხელოვნებათა ფედერაციების ისედაც მწირი ბიუჯეტისთვის ასეთი სახის შემოსავლები საკმაოდ კარგი იქნება და მის განვითარებას წაადგება. რაც შეეხება ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებულ სამომავლო გეგმებს: მომავალ წელს, მარტის თვეში, საქართველო ამავე აკადემიის ეგიდით იგივე რანგის საერთაშორისო სემინარს უმასპინძლებს“, – განაცხადა სემინარიდან დაბრუნებულმა საქართველოს კარატე-დოს ეროვნული ფედერაციის პრეზიდენტმა, კახა ბასილიამ.









# ფოთი 2006



空手道

KARATE-DO INTERNATIONAL TOURNAMENT

## საერთაშორისო ტურნირი კარატე-დოში

# ტურნირის დებულება

ტურნირის ორგანიზატორები:
ნაციონალური მოძრაობა;
ქალაქ ფოთის მერია;
სპორტისა და ტურიზმის სამსახური;
საქართველოს კარატე-დოს ეროვნული ფედერაცია;
ქალაქ ფოთის კარატე-დოს ფედერაცია.

ჩემპიონატის მიზნები და ამოცანები:
კარატეს განვითარება და პოპულარიზაცია საქართველოში;
მონაწილე სპორტსმენების დონის ამაღლება;
მსაჯების კვალიფიკაციის ამაღლება;
საქართველოს ეროვნული ნაკრები გუნდების შერჩევა ყველა ასაკოვან ჯგუფში.

შეჯიბრი ტარდება კატასა და კუმიტეში:
კატა – ასაკი 10-13-მდე; 17-მდე. თითო გუნდიდან ორი სპორტსმენი
მხოლოდ შავი ქამრის მფლობელები

კუმიტე – **WSKF**-ის წესებით. შობუ-ნიბონ (4 – ვაზარი)

ასაკი:
ბიჭები: 6-7; 8-9; 10-11; 12-13; 14-15; 16-17;წ
გოგონები: 8-9; 10-11-12; 13-14-15; 16-17;წ

მსაჯობა:
ჩემპიონატზე სამსაჯოდ მოწვეული არიან მსაჯები აზერბაიჯანიდან და სასომხეთიდან.

დაჯილდოება:
ჩემპიონატში საპრიზო ადგილზე გასული სპორტსმენები დაჯილდოვდებიან მედლებით, დიპლომებითა და ფასიანი საჩუქრებით.

ჩემპიონატში მონაწილეობის მისაღებად საჭირო პირობები:

ჩემპიონატში მონაწილე ფედერაციებმა და კლუბებმა უნდა წარადგინონ განაცხადი:
სახელი, გვარი, დაბადების თარიღი, წონითი კატეგორია, ბუდო პასპორტი, დაბადების მოწმობა და ექიმის თანხმობა. ჩემპიონატზე მონაწილეობის ფასია 5 (ხუთი) ლარი.
გუნდის სამივლინებო ხარჯებს (გზა, კვება, სასტუმრო) გაიღებს მიმავლინებელი ორგანიზაცია.
განცხადებების შემოტანა უნდა მოხდეს მიმდინარე წლის 7 ივლისამდე.
ჩასვლის და აწონვის დღე მიმდინარე წლის 8 ივლისი.

ჩემპიონატის ჩატარების დრო და ადგილი:
ქალაქი ფოთი, 2006 წლის 9 ივლისი
დასაწყისი 9:00 საათზე
საზეიმო გახსნა 12:00 საათზე

დაწვრილებითი ინფორმაციისათვის
დაგვიკავშირდით ტელ/ფაქსი: 963189

ნუგზარ ჭიაბერაშვილი, საქართველოს კარატე-დოს ეროვნული ფედერაციის პრეზიდენტი

## საქართველოს კარატე-დოს ეროვნული ფედერაცია

საქართველოს კარატე-დოს ეროვნული ფედერაცია თავის წევრთა ინტერესებს წარმოადგენს საკანონმდებლო ორგანოებში და ხელისუფლებაში. სპორტის დეპარტამენტში, საქართველოს ოლიმპიურ კომიტეტსა და საერთაშორისო სპორტულ ორგანიზაციებში. ქმნის სექციებს, კლუბებს, ტრადიციული კარატე-დოს ცენტრებს, ეხმარება მათ ორგანიზაციულ მეთოდიკურ საქმიანობაში, არეგულირებს მათი მოღვაწეობის იურიდიულ მხარეს, ორგანიზებას უკეთებს სასწავლო-საატესტაციო სემინარებს სპორტსმენთათვის და მსაჯთა მომზადებასა და ლიცენზირებას საერთაშორისო ფედერაციებში მიღებული ფორმების მიხედვით, ატარებს შოუ-ფესტივალებს და სპორტულ დღესასწაულებს.

空手道

მათ, ვინც დაინტერესდება ჩვენი ფედერაციის საქმიანობით გთხოვთ მოგვმართოთ შემდეგ მისამართზე: თბილისი, დიმიტრი უზნაძის ქ. №6, ტელ/ფაქსი: 96-31-89, www.karate.ge
საქართველოს კარატე-დოს ეროვნული ფედერაციის ცენტრალური ოფისი.

მომზადებულია საქართველოს კარატე-დოს ეროვნული ფედერაციის პრესცენტრის მიერ



# სპორტის აკადემია

№ 4 (32) ივლისი 2006 წ.

საქართველოს სახელმწიფო ფიზიკური აღზრდისა და სპორტის აკადემიის გამოცემა


## ჯემალ გუგუშვილი: „ადამიანს, სიკეთეზე უკეთესი არაფერი გააჩნია“

როგორც ცნობილია, საქართველოს სახელმწიფო ფიზიკური აღზრდისა და სპორტის აკადემიაში, საქართველოს პრეზიდენტის განკარგულებით, რექტორის მოვალეობის შემსრულებლად დაინიშნა საქართველოს სპორტულ და სამეცნიერო წრეებში კარგად ცნობილი პიროვნება ჯემალ გუგუშვილი. გთავაზობთ მასთან ინტერვიუს.

● ***ბატონო ჯემალ, თავს როგორ გრძნობთ?***

— ბრწყინვალედ! იმიტომ, რომ შესანიშნავ კოლექტივში მომიწია თანამშრომლობამ, კოლექტივში, სადაც ქვეყანაში ცნობილი პიროვნებების გარდა, უბრალოდ, კეთილი და პატიოსანი ადამიანები მუშაობენ.

● ***აკადემიაში თანამშრომლებთან ერთ-ერთ შეხვედრაზე თქვენ ბრძანეთ, რომ ის დღე თქვენთვის მე-17 სამუშაო დღე იყო. რომელი დღეა თქვენთვის არასამუშაო?***



ჯემალ გუგუშვილი

— როგორ გითხრათ, არ მახსოვს თუნდაც ერთი საათი ჩემთვის თავისუფალი ყოფილიყო, არამც თუ ერთი დღე. ეს ალბათ იმიტომ, რომ ყველაფერ ამას ხელს უწყობს ჩემი ჯამრთელობა და კიდევ... სიყვარული და პასუხისმგებლობა დაკისრებული სამსახურის მიმართ.

● ***თქვენივე სიტყვებით რომ ვთქვათ, ფიზიკური აღზრდისა და სპორტის აკადემიამ განათლების სისტემის რეფორმის გატარებაში ქვეყნის სხვა უმაღლეს სასწავლებლებს „დაასწრო და გაასწრო“ კიდეც. რა ეტაპზეა დღეს რეფორმა?***

— განათლების რეფორმა ჩვენს უმაღლეს სასწავლებელში სპორტული ტერმინოლოგიით თუ ვიმსჯელებთ, აჩქარებით და ზღვრული სისწრაფით მიდის. ეტაპი, რომელიც თქვენ გაინტერესებთ, თითქმის ფინიშამდეა მისული, საჭიროა, სწორი სტრატეგია,





რათა წარმატებებმა წარუმატებლობის სტარტი არ აიღოს.

● ***რეფორმა არსად და არასდროს, არც ერთ სფეროში უმტკივნეულოდ არ ჩატარებულა. ეს შეუძლებელიცაა. როგორ ფიქრობთ, ჩვენს აკადემიაში რა იყო, ან რა არის ყველაზე მტკივნეული?***

— რეფორმისა და სიახლის მიმართ ადამიანებს მუდამ სკეპტიკური დამოკიდებულება აქვთ. ბუნებრივია, იქნებიან მხარდამჭერებიც და მოწინააღმდეგეებიც. მთავარია, ნაკლები დანაკარგით მეტი ეფექტი მივიღოთ.

● ***თქვენ ბრძანეთ, რომ რეფორმა მიმდინარეობს განათლების შესახებ კანონიდან გამომდინარე, რამდენადაა გარანტირებული უმაღლესი სასწავლებლის ავტონომია?***

— თამამად შემიძლია ვთქვა, რომ რეფორმა ითვალისწინებს უმაღლესი სასწავლებლის სრულ ავტონომიას. ამას ვინ როგორ გამოიყენებს, დამოკიდებულია თვით უმაღლესი სასწავლებლის ხელმძღვანელზე.

● ***მიმდინარეობს მზადება საერთო ეროვნული გამოცდებისათვის. როგორც სპეციფიკურ სასწავლებელში ფიზიკური აღზრდისა და სპორტის აკადემიაში ტურები ჩატარდება საერთო ფიზიკურ და სპეციალურ მომზადებაში. შარშანდელი გამოცდილება კომისიას გააჩნია. რაიმე სიახლე ხომ არ იგეგმება წლეულს?***

— სიახლესთან დაკავშირებით გიპასუხებთ, მთლიანად შეიცვალა მიმღები კომისიის თავმჯდომარეები და წევრების თითქმის 80 პროცენტი. მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ჩვენი წინამორბედები სუსტად უძღვებოდნენ თავიანთ საქმეს, უბრალოდ მე როგორც აკადემიის ხელმძღვანელმა, დღეს მიზანშეწონილად ასე ჩავთვალე. რამდენად სწორი გადაწყვეტილება მივიღე ამას მომავალი გვიჩვენებს.

● ***მიმღები კომისიის თავმჯდომარე თქვენ ბრძანდებით. პრობლემებმა ხომ არ იჩინა თავი?***

— არამც და არამც, არა, ჩემს გვერდით არიან შესანიშნავი და პატიოსანი ადამიანები, რომელთა იმედი მქონდა და მაქვს. ღმერთმა მარგუნა მათთან თანამშრომლობა, პრობლემა მაშინ ექმნება ადამიანს, როდესაც თვითონაა პრობლემური პიროვნება.

● ***როგორია აბიტურიენტთა აქტივობა?***

— აბიტურიენტთა აქტივობა ძალიან მაღალია, წლეულს თითქმის ორჯერ გაიზარდა, შარშანდელთან შედარებით აკადემიაში შემოსული განცხადებების რიცხვი.

● ***თუ არ ვცდებით, შარშან, ყველაზე მეტი მსურველი და, აქედან გამომდინარე კონკურსი, მწვრთნელთა ფაკულტეტის ფეხბურთის განყოფილებაზე იყო. ამჟამად რა პირი უჩანს?***

— ტენდენცია თითქმის უცვლელია, მაგრამ სამკურნალო ფიზკულტურის და რეაბილიტაციის ფაკულტეტის აბიტურიენტებმა გაასწრეს აქტივობით ფეხბურთის განყოფილებას, გაიზარდა უცხოელ აბიტურიენტთა რაოდენობა 10-15 პროცენტით.

● ***ვინ არიან ეს უცხოელები?***

— ძირითადად, თურქები.

● ***თქვენ ყველა გიცნობთ, როგორც დისციპლინის მოყვარულ, მაგრამ სამართლიან ხელმძღვანელს. ასე იყო, სადაც გიმუშავიათ, ასეა აქაც, – აკადემიაში, რაც უკვე აშკარად შესამჩნევია. რას ნიშნავს თქვენთვის დისციპლინა?***

— ჩემი გადასახედიდან დისციპლინა, ადამიანის შინაგანი სამყაროს გამოხატულებაა. სხვანაირად ასე შემიძლია ავხსნა — ადამიანის დისციპლინა მისი გვარიშვილობის ეთნოგრაფიული კულტურის გამოხატულებაა.

● ***ჯერჯერობით მეტი შეკითხვა არ გვაქვს. იქნებ თავად გსურთ გაამახვილოთ ყურადღება რაიმე საკითხზე?***

— სიკეთე ვთესოთ, რადგან ადამიანს, სიკეთეზე უკეთესი სხვა არაფერი გააჩნია. ამიტომაც ადამიანი უკვდავია არა ბუნებით, არამედ მადლით.

ესაუბრა თენგიზ ბაჩეჩილაძე.

## სტუდენტური შრომითი ექსპედიცია მესხეთში მიემგზავრება

14 ივლისს, 10 საათზე, ფიზიკური აღზრდისა და სპორტის აკადემიის წინ, აკადემიის რექტორის მოვალეობის შემსრულებელი ჯემალ გუგუშვილი გზას დაულოცავს „შრომითი სემესტრის“ მონაწილე აკადემიის სტუდენტებს. როგორც, შარშან, ისინი ამჯერადაც ასპინძის რაიონის სოფელ თოკში სამ კვირას გაატარებენ და ეკლესიის აღდგენაზე იმუშავებენ. 15 კაციანი ჯგუფის ხელმძღვანელია ახალგაზრდა პედაგოგი მამუკა მაღლაკელიძე. აქციას ფიზიკური აღზრდისა და სპორტის აკადემია აფინანსებს.

## საქართველოს სახელმწიფო ფიზიკური აღზრდისა და სპორტის აკადემია აცხადებს

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის №721 ბრძანების საფუძველზე საქართველოს სახელმწიფო ფიზიკური აღზრდისა და სპორტის აკადემიაში **ცხადდება კონკურსი** სპორტის აკადემიის **ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელის** შესარჩევად.

კანდიდატთა რეგისტრაცია იწარმოებს 2006 წლის **25 ოქტომბრიდან 8 ნოემბრის ჩათვლით.**

კანდიდატმა რეგისტრაციისთვის უნდა წარმოადგინოს:

- განცხადება აკადემიური საბჭოს სახელზე
- კადრების აღრიცხვის ფურცელი
- 4 ფოტოსურათი (3X4-ზე)
- უმაღლესი განათლების დამადასტურებელი საბუთი (დიპლომის ასლი).
- ავტობიოგრაფია.
- პროფესორის აკადემიური თანამდებობის დამადასტურებელი საბუთი.

შენიშვნა: სასურველია უცხო ენის ცოდნა.

აკადემიური საბჭო

* * *

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის №721 ბრძანების საფუძველზე საქართველოს სახელმწიფო ფიზიკური აღზრდისა და სპორტის აკადემიაში **ცხადდება კონკურსი** სპორტის აკადემიის **ადმინისტრაციის** ხელმძღვანელის კანდიდატურის შესარჩევად.

კანდიდატთა რეგისტრაცია იწარმოებს 2006 წლის **16 ოქტომბრიდან 4 ნოემბრის ჩათვლით.**

კანდიდატმა რეგისტრაციისთვის უნდა წარმოადგინოს:

- განცხადება აკადემიური საბჭოს სახელზე
- კადრების აღრიცხვის ფურცელი
- 4 ფოტოსურათი (3X4-ზე)
- უმაღლესი განათლების დამადასტურებელი საბუთი (დიპლომის ასლი).
- ავტობიოგრაფია

შენიშვნა: სასურველია უცხო ენის ცოდნა.

აკადემიური საბჭო.

* * *

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის №721 ბრძანების საფუძველზე საქართველოს სახელმწიფო ფიზიკური აღზრდისა და სპორტის აკადემია **აცხადებს აკადემიის რექტორის** თანამდებობის დასაკავებლად კანდიდატთა რეგისტრაციას.

კანდიდატთა რეგისტრაცია იწარმოებს 2006 წლის **29 აგვისტოდან 27 სექტემბრის ჩათვლით.**

**არჩევნები ჩატარდება 2006 წლის 1 ნოემბერს.**

აკადემიური საბჭო.



## ყაზახური ოქრო საქართველოში

1-2 ივლისს ასტანაში გაიმართა „ა“ კლასის საერთაშორისო ტურნირი კიოკუშინკაი კარატეში, სადაც 7 ქვეყნის 12 ნაკრები გუნდი და 90 სპორტსმენი ასპარეზობდა. მათ შორის იყო ერთი ქართველი, ევროპის ორგზის ვერცხლის პრიზიორი, საერთაშორისო ტურნირების გამარჯვებული და საქართველოს ჩემპიონი, სპორტის აკადემიის სტუდენტი ლაშა ხაჭაპურიძე.

გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ საქართველოს სახელმწიფო ფიზიკური აღზრდისა და სპორტის აკადემიის (რექტორის მოვალეობის შემსრულებელი, პროფესორი ჯ. გუგუშვილი) წარგზავნილმა მართლაც ღირსეულად წარმოაჩინა აკადემია და მთლიანად საქართველო.

60 კგ – მდე წონით კატეგორიაში მოასპარეზე ჩვენმა სპორტსმენმა ფინალურ შერკინებაში მასპინძელი ქვეყნის ასტანელი სპორტსმენი რახიმ იმიროვი წმინდა გამარჯვებით, იპონით დაამარცხა, ოქროს მედალი და „ასტანას თასი – 2006“ მოიპოვა.

ლაშა ხაჭაპურიძის პირადი მწვრთნელი, სპორტის აკადემიის ადმინისტრაციის ხელმძღვანელი და საქართველოს ეროვნული ნაკრების მთავარი მწვრთნელი ირაკლი დოლაბერიძე საუკეთესო მწვრთნელად დაასახელეს, რომელსაც ყაზახეთის ახალი დედაქალაქის 5 წლის იუბილისათვის სპეციალურად დამზადებული მედალი ქალაქის მერმა გადასცა, ხოლო ყაზახეთის შინკიოკუშინკაი კარატეს ფედერაციის პრეზიდენტმა, პარლამენტის მეჯლისის დეპუტატმა რ. მუხამეჯანოვმა ძვირფასი ნაქარგი ნაციონალური სამოსით (ჩაპანით) დააჯილდოვა.

## 19 ათას აბიტურიენტს მიიღებენ

საქართველოს სხვადასხვა უმაღლეს სასწავლო დაწესებულებაში წელს დაახლოებით 19 ათასი აბიტურიენტი ჩაირიცხება.

განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მოადგილის ალექსანდრე დიდებულიძის თქმით, მიღება სწორედ 19 ათას ადგილზეა გამოცხადებული. თუმცა, იმის გამო, რომ ზოგიერთი ადგილი შეუვსებელი რჩება ხოლმე, შესაძლოა პირველკურსელთა რაოდენობა ამ ციფრზე ოდნავ ნაკლები იყოს. მათგან 9 ათას სტუდენტს სახელმწიფო დააფინანსებს, ზოგიერთს კი — ნაწილობრივ.

ალექსანდრე დიდებულიძის ინფორმაციით, წელს საგრანტო დაფინანსებისთვის 6,5 მილიონი ლარია გამოყოფილი, შარშან კი ეს თანხა 6 მილიონ ლარს შეადგენდა. 2006 წლის ერთიან ეროვნულ გამოცდებში მონაწილეობის სურვილს 32 600-ზე მეტი აბიტურიენტი გამოთქვამს. შარშან კი მათი რიცხვი 30 ათას აღემატებოდა.

მედიანიუსი

## ვიქტორინა

**1. რომელ წელს გაიხსნა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ფიზიკური კულტურის ფაკულტეტი?**

ა — 1931 წელს
ბ — 1933 წელს
გ — 1935 წელს

**2. რომელ წელს დაარსდა თსუ-ს ფიზიკური კულტურის ფაკულტეტის ბაზაზე საქართველოს ფიზიკური კულტურის სახელმწიფო ინსტიტუტი?**

ა — 1936 წელს
ბ — 1938 წელს
გ — 1939 წელს

**3. ჩამოთვლილი ქართველი ოლიმპიური ჩემპიონებიდან, რომელს არ დაუმთავრებია საქართველოს ფიზიკური კულტურის ინსტიტუტი?**

ა — მიხეილ ქორქიას
ბ — დავით ციმაკურიძეს
გ — ნუგზარ ასათიანს

**4. საქართველოს ფიზიკური – კულტურის ინსტიტუტის პროფესორებიდან, რომელი მონაწილეობდა პირველი კოსმონავტის იური გაგარინის მომზადებასა და კოსმოსში გაშვებაში?**

ა — გრიგოლ თვალაძე
ბ — ვლადიმერ ნორაკიძე
გ — ვლადიმერ ჩხაიძე

**5. რომელ წელს მიენიჭა საქართველოს ფიზიკური კულტურის ინსტიტუტს აკადემიის სტატუსი?**

ა — 1993 წელს
ბ — 1994 წელს
გ — 1995 წელს.

**პასუხები იხილეთ შემდეგ ნომერში.**

## როცა გნებავთ, ბატონებო, როცა გნებავთ!..

არაა აუცილებელი ათი ფუთი მარილი შეჭამო ადამიანის ამოსაცნობად. ახლა სხვა დროა, დღევანდელი ეპოქა ასტრონომიულად ამცირებს ერთი ადამიანის მიერ მეორის შეცნობის ვადებს... ტურიზმის მეშვეობით. არა აქვს მნიშვნელობა უცხოეთში იმოგზაურებ თუ საკუთარი სამშობლოს „ცა-ფირუზ ხმელეთ ზურმუხტის“ წიაღში. ჰკითხეთ, ვისაც ერთხელ მაინც გამოუცდია ჯგუფურად, თუნდაც ერთი დღით ერთად დასვენების სიამოვნება და გიპასუხებთ: დიდებულია, თითქოს მხოლოდ ახლა გავიცანით ახლოს ერთმანეთი. თანამშრომელთა ერთდღიანი გასვლა „უთვალავი ფერით“ შემკულ მშობლიურ მიწა-წყალზე და მხიარული დასვენება თუ რას ნიშნავს, სიტყვას აღარ გავაგრძელებთ. არც არის საჭირო იმ შთაბეჭდილებების აფიშირება, რაც თითოეულ მათგანს რჩება მეხსიერებაში, ეს უნდა განიცადო!

სწორედ ასეთი განცდებით დატვირთულები დაბრუნდნენ ამას წინათ, კახეთში მოწყობილი ღონისძიებიდან ჩვენი აკადემიის თანამშრომლები. ლაღი, უშუალო ურთიერთობა, პრობლემებიდან დროებით თავის გარიდება, დაფიქრება სხვებზე და საკუთარ თავზე, აი, რა იყო აკადემიის გარეთ ამ ერთდღიანი ურთიერთობის მთავარი შედეგი.

კიდევ როდის... ეს კითხვა იმ დღეს თითქმის ყველას გაუჩნდა.

როცა გნებავთ, ბატონებ, როცა გნებავთ!..

# ოფიციალური სვეტი

## საქართველოს სახელმწიფო ფიზიკური აღზრდისა და სპორტის აკადემია

## ბრძანება (№72, 7.06.06)

2006 წლის 1 სექტემბრიდან საქართველოს სახელმწიფო ფიზიკური აღზრდისა და სპორტის აკადემიაში არსებულ სტრუქტურულ ერთეულებში შეტანილი იქნეს ცვლილებები და ჩამოყალიბდეს შემდეგი დროებითი სტრუქტურული ერთეულები:

საერთო განყოფილება (კანცელარია);
ადამიანური რესურსების მართვის სამსახური;
საფინანსო სამსახური;
სასწავლო პროცესის მართვის სამსახური;
მატერიალური რესურსების სამსახური;
დაცვისა და სახანძრო უსაფრთხოების სამსახური;
საგამომცემლო სამსახური;
ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური;
**დოქტურანტურისა და სამეცნიერო კვლევების საკოორდინაციო სამსახური;**
სპორტისა და კულტურის ცენტრი;
საგარეო ურთიერთობათა განყოფილება;
იურიდიული სამსახური;
ბიბლიოთეკა.

**ჯემალ გუგუშვილი,**
**რექტორის მოვალეობის შემსრულებელი, პროფესორი.**

## საქართველოს სახელმწიფო ფიზიკური აღზრდისა და სპორტის აკადემია

## ბრძანება (№79, 20.06.06)

**საქართველოს სახელმწიფო ფიზიკური აღზრდისა და სპორტის აკადემიის ადმინისტრაციის ქვედანაყოფების და სამსახურების რეორგანიზაციის (სტრუქტურული ცვლილებების), შტატების, და მუშაკთა რიცხოვნობის მოსალოდნელი შემცირების გამო, მუშაკთა გაფრთხილების, ორგანიზაციულ ღონისძიებათა და დროებითი სტრუქტურის დამტკიცების შესახებ.**

„უმაღლესი განათლების შესახებ საქართველოს კანონის, „საქართველოს შრომის კოდექსის“ 30-ე მუხლის „დ“ პუნქტის, 34-ე მუხლის „ა“ პუნქტის, 36-ე, 37-ე, 42.1, 42.2 მუხლების, საქართველოს პრეზიდენტის 2005 წლის 8 ივნისის ბრძანებით №473 ბრძანებულების — საჯარო სამართლის იურიდიული პირის — უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების რექტორის მოვალეობის შემსრულებლისა და ფაკულტეტის დეკანის მოვალეობის შემსრულებლის უფლებამოსილების „განსაზღვრისა და საქართველოს პრეზიდენტის ზოგიერთი ბრძანებულების ნაწილობრივ ძალადაკარგულად გამოცხადების შესახებ“, — საფუძველზე

## ვბრძანებ:

1. დამტკიცდეს საქართველოს სახელმწიფო ფიზიკური აღზრდისა და სპორტის აკადემიის ადმინისტრაციის დროებითი სტრუქტურული ერთეულები (თან ერთვის);

2. გაფრთხილებული იქნან პერსონალურად საქართველოს სახელმწიფო ფიზიკური აღზრდისა და სპორტის აკადემიის ადმინისტრაციისა და სამსახურების თანამშრომლები რეორგანიზაციის (სტრუქტურული ცვლილებების), შტატებისა და მუშაკთა რიცხოვნობის შემცირებასთან დაკავშირებით მოსალოდნელი განთავისუფლების შესახებ, საქართველოს შრომის კანონთა კოდექსის 42.2 მუხლის დადგენილი წესით;

3. მუშაკთა პერსონალური გაფრთხილება დაევალოს ადმინისტრაციული ერთეულების, ქვედანაყოფების და სამსახურების ხელმძღვანელებს; მათვე დაევალოთ სათანადო წესით გაფრთხილებასთან დაკავშირებით დოკუმენტაციის წარმოდგენა ადამიანური რესურსების მართვის სამსახურში — ამ ბრძანების გამოცემიდან არაუგვიანეს 5 (ხუთი) სამუშაო დღისა.

4. აკადემიის ადამიანური რესურსების მართვის სამსახურს

**დაევალოს:**

— მუშაკთა პერსონალური გაფრთხილების მიზნით შეადგინოს აკადემიის ადმინისტრაციული ერთეულების, ქვედანაყოფების და სამსახურების გასაფრთხილებელ მუშაკთა ზუსტი სია, მათი საიდენტიფიკაციო მონაცემების, ასაკის და აკადემიასთან შრომითი ურთიერთობების მითითებით — გაფრთხილებაზე პასუხისმგებელ პირთათვის გადასაცემად;

— უზრუნველყოს ამ ბრძანების შესათანხმებლად წარდგენა აკადემიის პროფკავშირებთან;

5. ბრძანების ძალაში შესვლიდან 30 (ოცდაათი) კალენდარული დღის გასვლის შემდეგ, ადამიანური რესურსების მართვის სამსახურმა უზრუნველყოს ახალი საშტატო განრიგის შესაბამისად, მუშაკთა დასაქმების შესახებ, შრომითი ურთიერთობების მომწესრიგებელი დოკუმენტაციის წარმოდგენა;

6. დაევალოს იურიდიულ სამსახურს (ი. ხუციშვილს) გაუწიოს კონტროლი ბრძანებით გათვალისწინებული ღონისძიებების გატარებას მოქმედ კანონმდებლობასთან შესაბამისობას;

7. დაევალოს აკადემიის დროებითი სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელებს, ამ ბრძანების ძალაში შესვლიდან 30 (ოცდაათი) სამუშაო დღის განმავლობაში წარმოადგინონ რექტორის მოვალეობის შემსრულებლის სახელზე წარდგინება აკადემიის ადმინისტრაციის დროებითი საშტატო განრიგით გათვალისწინებულ თანამდებობებზე, თანამშრომელთა დანიშვნის შესახებ;

ადმინისტრაციის სამსახურის ხელმძღვანელები ვალდებულნი არიან წარდგინებას საფუძვლად დაუდონ დასანიშნ თანამშრომლებთან გასაუბრებისა და პირადი მონაცემების შეფასების შედეგები;

8. ბრძანება გამოქვეყნდეს გაზეთ „ლელოში“, „სპორტის აკადემია“-ში და განთავსდეს გასაცნობად თვალსაჩინო ადგილზე;

9. ბრძანების შესრულებაზე კონტროლი დაევალოს ბატონ ვასილ ბაკაშვილს.

**ჯემალ გუგუშვილი,**
**რექტორის მოვალეობის შემსრულებელი, პროფესორი.**

# ფიცი სამშობლოს!

**„სამხედრო ვალდებულებისა და სამხედრო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონში დამატებების შეტანის შესახებ“ 2004 წლის 9 დეკემბრის №641-IIს კანონის ძალაში შესვლამდე საქართველოს სახელმწიფო ფიზიკური აღზრდისა და სპორტის აკადემიის კათედრის დამამთავრებელ კურსზე მყოფ სტუდენტთათვის 2006 წლის 30 ივნისს აკადემიის სააქტო დარბაზში ჩატარდა 2004 წლის 9 დეკემბრისთვის საქართველოს სახელმწიფო ფიზიკური აღზრდისა და სპორტის აკადემიის სამხედრო კათედრის დამამთავრებელ კურსზე მყოფ სტუდენტთა სამხედრო ფიცის მიღება.**

**ფიცის დადებამ ამაღლებულ და ემოციურ ვითარებაში ჩაიარა.**

# ქალთა საბჭო საერთო ფერხულშია

„მზად ვართ ჩვენი მოკრძალებული წვლილი შევიტანოთ აკადემიაში მიმდინარე რეფორმებში და მისი ცხოვრების გააქტიურებაში“ — ასეთი იყო იმ შეხვედრის სულისკვეთება, რომელიც საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის აკადემიის რექტორის მოვალეობის შემსრულებელთან პროფესორ **ჯემალ გუგუშვილთან** გაიმართა აკადემიის ქალთა საბჭოს თაოსნობით. ამ საბჭოს თავმჯდომარემ, ქალბატონმა **მედეა როგავამ** ვრცლად ილაპარაკა სამომავლო გეგმებზე და ქალთა კომიტეტის როლზე უმაღლეს სასწავლებელში.

ჯ. გუგუშვილმა ქალბატონებს აღუთქვა, რომ მზადაა ხელი შეუწყოს საბჭოს საქმიანობის დიაპაზონის გაფართოებაში და იმ ამოცანების გადაჭრაში, რაც მას აქვს დასახული აკადემიაში მიმდინარე პროცესებში წვლილის შესატანად.

# დაპირება შესრულდება

ამას წინათ, საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის აკადემიამ ძეგვში მზრუნველობა მოკლებულ ბავშვთა სახლში საქველმოქმედო აქცია ჩაატარა. აქციის მონაწილეთა შორის იყვნენ აკადემიის პროფესორ-მასწავლებლები და სტუდენტები.

სტუმრებმა ბავშვთა სახლის აღსაზრდელებს ჩაუტანეს როგორც საყოფაცხოვრებო ნივთები, ისე სპორტული ინვენტარი და პროდუქტები. ბავშვთა სახლის ხელმძღვანელობამ მადლობა გადაუხადა აქციის მონაწილეებს ქველმოქმედებისთვის.

აკადემიის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი **მედეა როგავა**, რომლის საუბრები დამხვდურებმა ინტერესით მოისმინეს, ბავშვთა სკოლის ხელმძღვანელებს და აღსაზრდელებს დაპირდა, რომ ხშირად ეწვევა ძეგვს და უფრო ღრმად დააინტერესებს ბავშვებს მშობლიური ენითა და ლიტერატურით.

„დანაპირებს უთუოდ შევასრულებ“ — ამბობს ქალბატონი მედეა.

კონსულტაცია

# ვის ენიშნება სტიპენდია ასაკის გამო?

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2006 წლის 10 თებერვლის ბრძანების (№46/6) მე-8 მუხლის შესაბამისად, სტიპენდია ასაკის მიღწევის გამო ენიშნება:

1. პირს, რომელსაც შეუსრულდა 50 წელი და აქვს 20 წლის სამეცნიერო ან პედაგოგიური მუშაობის სტაჟი. ამასთან, დასაქმებული იყო საჯარო სამართლის იურიდულ პირ — უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში პროფესორ-მასწავლებლის ან დამხმარე თანამდებობაზე, ან სახელმწიფო სამეცნიერო-კვლევით დაწესებულებაში — სამეცნიერო ან დამხმარე თანამდებობაზე (დანართი №1-ის შესაბამისად) და 2005 წლის 1 იანვრიდან 2007 წლის 1 იანვრამდე განთავისუფლდნენ შესაბამისი თანამდებობიდან შტატების შემცირებასთან დაკავშირებით ან პირადი სურვილით;

2. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულ პირს, პირადი ნებასურვილით განთავისუფლების შემთხვევაში უნდა გააჩნდეს არანაკლებ 5 წლის მუშაობის სტაჟი დაწესებულებაში, რომლიდანაც იგი გათავისუფლდა.

3. აღნიშნულ პირთათვის სახელმწიფო აკადემიური სტიპენდია განისაზღვრება საჯარო მოხელის მინიმალური თანამდებობრივ სარგოთი:

ა) 80 პროცენტის ოდენობით — მეცნიერებათა დოქტორზე;

ბ) 60 პროცენტის ოდენობით — მეცნიერებათა კანდიდატზე;

გ) 40 პროცენტის ოდენობით — სამეცნიერო ხარისხის არ მქონე პირზე.




# ფოტორეპორტაჟი

## აკადემიის ცხოვრებიდან


2006 წლის ივნისი. ძეგვი. მზრუნველობა მოკლებულ ბავშვთა სახლში.


შეხვედრა ქალთა საბჭოს წევრებთან.


ანგარიშით საბჭოს სხდომაზე


სტუდენტები წიწამურში.


ნორმატივებით მშობლებიც დაინტერესდნენ


საქმიანი დიალოგი.


საბუთების მიღება.


აბიტურიენტი ფეხბურთელები.


კომისია.

# რამდენი წლისაა ქართული ფეხბურთი?

## ქართული ფეხბურთის ისტორიის კვლევა გრძელდება

„ლელოს“ წინა ნომერში მკითხველს ვაუწყეთ, რომ „ხანგრძლივი და შეუპოვარი ძიების შემდეგ, ცნობილი ვეტერანი მსაჯის **ელდარ ჩიფჩიურის** უანგარო დახმარებით, მიკვლეულია ქართული ფეხბურთის ისტორიის უმნიშვნელოვანესი დოკუმენტები თბილისის გუბერნატორის ხელმოწერით“.

დაგპირდით, რომ ამ დოკუმენტების გამომზეურებას „ლელოს“ უკვე მომდევნო ნომრიდან დავიწყებდით. ვიწყებთ კიდეც. გაზეთის წინა ნომრის გამოსვლისთანავე ე. ჩიფჩიურმა ჩვენი ერთობლივი განზრახვა გაუზიარა საქართველოს სახელმწიფო არქივის დირექტორს **ზურაბ ქვანიას,** რომელმაც სრული თანადგომა გამოგვიცხადა გამოვლენილი დოკუმენტების შესწავლასა და ახლის მიგნებაში. თანადგომისთვის მზადაა აგრეთვე არქივის ვეტერანი თანამშრომელი, დირექტორის მოადგილე **მარგო ტიბილაშვილი.** ქალბატონ მარგოს მეშვეობით მივაკვლიეთ თბილისში 1900-იანი წლების დასაწყისში თბილისის პირველი საფეხბურთო კლუბის ერთ-ერთი დამფუძნებლის ჰაინეს შვილიშვილს, რომელიც ბაბუის არქივს ინახავს და სწორედ ამ არქივში დაცული დოკუმენტებით, გარკვეულწილად, აეხდება ფარდა აქამდე ბურუსით მოცულ საიდუმლოებებს.

ახლა კი იმ დოკუმენტების შესახებ, რომელიც უკვე ხელთა გვაქვს. მკითხველი გვინდა აქვე გავაფრთხილოთ, რომ ვიწყებთ იმ დოკუმენტების ანალიტიკურ პუბლიკაციას, რომელიც უკვე მოპოვებულია. გამორიცხული არ არის, სხვა დოკუმენტები უფრო ადრეული აღმოჩნდეს, ამიტომ ქრონოლოგიურ თანმიმდევრობას ჯერჯერობით არ ვაქცევთ ყურადღებას, მერე, მოგვიანებით კი, ყველაფერი დალაგდება.

მაშ ასე: ჩვენს წინაა 1907 წლის 10 იანვრით დათარიღებული თბილისის გუბერნატორის კანცელარიის საქმე 20 ფურცელზე.

ჯერ გაგაცნობთ ერთ მეტად საყურადღებო დოკუმენტს. ესაა თბილისის გუბერნატორის სახელზე გაგზავნილი თხოვნის წერილი, რომელსაც ხელს აწერს ოთხი პიროვნება. ხელმოწერა გაკვრითაა და, სამწუხაროდ, ვერ ამოვიკითხეთ. მაგრამ მთავარია ის, რაც ამ თხოვნაში წერია.

ფეხბურთის თამაშის მოყვარულთა თბილისის წრის „კომეტას“ თხოვნა მიმართულია „მისი აღმატებულების, ბატონ თბილისის გუბერნიის მმართველისადმი“. ავტორები იშველიებენ რა მისი აღმატებულების კანცელარიის მიერ 1907 წლის 12 იანვარს მიღებულ №117 გამოცხადებას, აგრეთვე 1906 წლის 4 მარტს მიღებულ წესს „საზოგადოებებისა და კავშირების შესახებ“ გუბერნიის მმართველს სთხოვენ შემწეობას.

„პატივი გვაქვს წარმოგიდგინოთ ჩვენს მიერ შემუშავებული ზემოხსენებული წრის წესდება 2 ეგზემპლარად და აუცილებელი 4 მან. და 65 კაპ. ჩვენი ორგანიზაციის შექმნის შესახებ განცხადების გამოსაქვეყნებლად. ამასთან, გირდგენთ ჩვენს კანონიერ უფლებამოსილებას და ხელმოწერის უტყუარობას დამოწმებულს ნოტარიუსით“.

ამის შემდეგ გუბერნატორის განკარგულებით განცხადებას ეძლევა დაუყოვნებლივი მსვლელობა და უკვე, სულ რაღაც, ორიოდე დღის შემდეგ საკითხს იხილავს სხდომა, რომელსაც



ხელმძღვანელობს თბილისის გუბერნატორის თანამდებობის (დღევანდელი ტერმინით, რომ ვთქვათ, „მოვალეობის“ შემსრულებელი) ა. გ. **ჩერნიავსკი.** სხდომას ესწრებიან: თბილისის საოლქო პროკურორი **ნ.ვ. ბრანდორფი,** თბილისის სახაზინო პალატის მმართველი **ვ.ფ. ოსტროვსკი,** თბილისის თავი, თავადი **ნ.ვ. ჩერკეზოვი,** თბილისის გუბერნატორის კანცელარიის მმართველის **ე.ი. უგანცევის** მონაწილეობით.

სხდომის ოქმის ჩანაწერში დაწვრილებითაა აღწერილი ფეხბურთის მოყვარულთა წრის „კომეტას“ შექმნის კანონიერება. ოქმში დაფიქსირებულია წრის მიზანიც: „ა) წრის წევრებს მიეცეს საშუალება, ერთად დაკავდნენ ამ თამაშით თავისუფალ დროს; ბ) ხელი შეუწყოს ამ თამაშის გავრცელებას თბილისის მოსახლეობაში; გ) სპორტის ინტერესებისთვის ამ თამაშის მოყვარულთა უფრო მჭიდრო ურთიერთობა“... საგულისხმოა, რომ წრეს უფლება ეძლეოდა თავის რიგებში დაენერგა აგრეთვე სპორტის სხვა „დარგებიც“.

ნებადართული იყო საჯაროდ ლონისძიებების მოწყობა, როგორც თბილისში, ისე, მის შემოგარენში. დასაშვები იყო გასამრჯელოს მიღება.

მას შემდეგ, რაც სხდომამ გულდასმით განიხილა წრის წესდება, დაადგინა: „განზრახული საზოგადოება ხსენებული დასახელებით შეტანილ იქნეს დადგენილ რეესტრში, რისთვისაც მოეწეროს ხელი წარმოდგენილი პროექტის ეგზემპლარებს და ინფორმაცია, დადგენილი წესით, გამოქვეყნდეს „სენატორის გამოცხადებებში“, აგრეთვე გაზეთ „კავკაზში“ შემოტანილი 4 მანეთისა და 65 კაპიკის გადახდით. ამის შემდეგ ერთი ეგზემპლარი დაუბრუნდეს მთხოვნელებს, მეორე დარჩეს კანცელარიაში.“ დადგენილებას ხელს აწერს ა. ჩერნიავსკი.

ამის შემდეგ წერილი ეგზავნება თბილისის პოლიცმეისტერს, რომელსაც ეცნობა, რომ რეგისტრირებულია „თბილისის ფეხბურთის მოყვარულთა წრე „კომეტა“. იქვე ჩამოთვლილია წრის ხელმძღვანელთა და წევრთა ვინაობა. ჯერჯერობით შევძელით ამოგვეკითხა გვარები: ა.ა. ელზენგერი (თავმჯდომარე), ვ.მ. კორტუმი (კაპიტანი), ი. დ. ზახაროვი, ვ. ვ. ფრეი (წევრები)...

**თენგიზ თომაშვილი,**

გაგრძელება იქნება.

## იურიდიული კონსულტაცია

**კითხვა: გთხოვთ განმიმარტოთ, სახელმწიფო (საჯარო) დაწესებულებაში მომუშავეებს ეკუთვნით თუ არა 45-დღიანი შვებულება, საშვებულებო დახმარება და კვარტალური სახელფასო დანამატი?**

**პასუხი:** „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, საჯარო (იგივე სახელმწიფო) მოსამსახურეთათვის დადგენილია ყოველწლიური შვებულება 30 კალენდარული დღის ოდენობით. იმ საჯარო მოსამსახურეებს, რომელთაც აქვთ არანაკლებ 3 წლის სტაჟი და სახელმწიფო სამსახურში მუშაობის ყოველ შემდგომ წელზე ეძლევა თითოდღიანი დამატებითი შვებულება, მაგრამ ჯამში, არაუმეტეს 10 დღისა.

მოსამსახურეს, რომელსაც აქვს საჯარო სამსახურში მუშაობის 10 წელზე მეტი სტაჟი, ეძლევა დამატებითი ანაზღაურებადი შვებულება 15 კალენდარული დღის ოდენობით.

რაც შეეხება საშვებულებო დახმარებას ერთი თვის თანამდებობრივი სარგოს ოდენობით, იგი დღეს მოქმედი კანონით არ გაიცემა. კანონით აღნიშნული მუხლი ამოქმედდა 2006 წლის 1 იანვრიდან.

აქვე გაცნობებთ, რომ სახელმწიფო დაწესებულების ხელმძღვანელს უფლება აქვს მოხელეს ზეგანაკვეთური მუშაობისა და განსაკუთრებით საპასუხისმგებლო ფუნქციური დატვირთვის გათვალისწინებით, ყოველწლიურად შრომის ანაზღაურების ფონდში წარმოდგენილი ეკონომიის ფარგლებში, დადგენილი წესით, საფინანსო წლის განმავლობაში დაუწესოს გარკვეული დანამატი.



### ახალი თაობის ფეხბურთელები

# თუ ოცნებაა, ოცნება იყოს...



გიორგი კვახაძე დაიბადა თბილისში 1981 წლის 16 აგვისტოს. დაამთავრა ძეგვის საშუალო სკოლა. ცხოვრობს მცხეთის რაიონის სოფ. ძეგვში. 12 წლის იყო, როცა მამამ ფეხბურთზე მიიყვანა. პირველი მწვრთნელი იყო ვეფხია გულბათაშვილი. გ. კვახაძის სპორტული კარიერა ასეთია: „ვიტ ჯორჯია-2“ II ლიგა; „ცხუმი“, II ლიგა; „ამირანი“ I ლიგა; „ვიტ ჯორჯია“ უმაღლესი ლიგა; „ამერი“ უმაღლესი ლიგა.

გიორგი კვახაძე არის საქართველოს ჩემპიონი და ბრინჯაოს პრიზიორი, ყიფიანის სახელობის თასის მფლობელი. საქართველოს ჩემპიონატი „ვიტ ჯორჯიასთან“ ერთად მოიგო. ამ პერიოდს საუკეთესოდ მიიჩნევს და ვიტელებთან გატარებულ წლებს სიამოვნებით იგონებს. ჰობი — კომპიუტერული თამაშები.

◆ ***გასულ სეზონში „ამერში“ თამაშობდი, შეასრულა კლუბმა პროგრამა მაქსიმუმი?***

— აქცენტი თასზე გვქონდა გადატანილი და მისია ნამდვილად შევასრულეთ. გუნდში მეგობრული და საქმიანი ურთიერთობების შედეგი იყო ჩვენი ეს წარმატება.

◆ ***საქართველოს თასი, რომელიც ლეგენდარული ქართველი ფეხბურთელის დავით ყიფიანის სახელს ატარებს, ის სანუკვარი ჯილდოა, რომლის მოპოვებაზეც საქართველოს ყველა ფეხბურთელი ოცნებობს. შენთვის და ბევრი თანაგუნდელისთვის ეს იყო პირველი სერიოზული წარმატება.***

***ტკბილია ოცნების ასრულება?***

— ძალიან...

◆ ***ადრე თუ განგიცდია უფრო მძაფრი სიხარული?***

— არა, მაგრამ მომავალში მსგავსი ბედნიერება და სიხარული აუცილებლად კიდევ გვეწვევა. თანაც, არაერთხელ.

◆ ***მაგრამ ამისთვის საჭიროა...***

— გინდა გიპასუხოთ, თავდადებული შრომა? გეთანხმებით, რა თქმა უნდა.

◆ ***ეტყობა შრომა გიყვარს...***

— ყოველ შემთხვევაში, სიზარმაცეს არ ვაჩაგვრინებ თავს, ვეჭიდავები.

◆ ***ზოგჯერ დგება ხოლმე მომენტი, როცა, გინდა არ გინდა, გულში გაიფიქრებ — როდის დამთავრდება ეს ყველაფერი, ანუ, ხანდახან ხომ არ გბეზრდება ვარჯიში, თამაში...***

— არა, ძალიან გთხოვ, ეჭვებისკენ ნუ მიბიძგებ. ცხადია, მეხუმრები...

◆ ***იშვიათია ახალგაზრდა ფეხბურთელი, რომელსაც სურს ისე ითამაშოს, მაგალითად, როგორც... ვინაა შენი კერპი?***

— მარადონა.

◆ ***რომელი საფეხბურთო კლუბი მოგწონს?***

— „ბარსელონა“.

◆ ***რატომ, რა ნიშნით?***

— კატალონიელები ძალიან ლამაზ ფეხბურთს თამაშობენ.

◆ ***რომელი ფეხბურთელის თამაშით ხარ მოხიბლული?***

— რონალდინიო! რონალდინიო!.. აღფრთოვანებული ვარ მისი თამაშით. ის მართლაც საფეხბურთო ვარსკვლავია. თუ მკითხავდი, ვის გვერდით თამაშს ვისურვებდი, გიპასუხებდი, რონალდინიოს გვერდით და ეს იქნებოდა უდიდესი ბედნიერება. თუ ოცნებაა, ოცნება იყოს...

◆ ***ვის ქომაგობდი წლევანდელ მსოფლიო ჩემპიონატზე?***

— არგენტინას.

◆ ***კი მაგრამ, რონალდინიო ხომ ბრაზილიელია...***

— მერე რა, რონალდინიო რონალდინიოა, ხომ გითხარი, ვარსკვლავი, გუნდი კი, გუნდია.

◆ ***გასაგებია, რა გხიბლავს არგენტინელთა თამაშში?***

— ისინი ყოველთვის შმტევ ფეხბურთს თამაშობენ. ანგარიშის შენარჩუნებაზე არ ფიქრობენ, რაც ფეხბურთს ჩრდილავს. მხიბლავს აგრეთვე მათი თავდადება, რაც ესოდენ დასაფასებელია.

◆ ***მაგრამ იმედი გაუმტყუნა არგენტინამ ქომაგებს...***

— რა ვქნათ, ყველაფერი ხდება.

◆ ***ოდნავ გადავუხვიოთ თემას. ფეხბურთელებს გეკრძალებათ ტოტალიზატორის თამაში. აკრძალვამდე თუ გითამაშიათ?***

— კი.

◆ ***მაგრამ ზოგიერთი მაინც თამაშობს...***

— ეგ ჩემი გასარჩევ-შესაფასებელი არ არის. მაგრამ თუ ფეხბურთელი ტოტალიზატორს მხოლოდ გართობის მიზნით თამაშობს, ეგ კიდევ არაფერი... მე ასე ვფიქრობ.

◆ ***როგორია პირადი სამომავლო გეგმები?***

— ახალი სეზონიდან „ლოკომოტივში“ გადავდივარ და ჩემი გეგმებიც ამას უკავშირდება.

◆ ***წარმატებებს გისურვებ.***

— დიდი მადლობა.

ესაუბრა

**ნინო რთველიაშვილი.**

# ოქროს მოპოვებას სპორტსმენის თანამედროვე დონეზე მომზადება ესაჭიროება

სპორტის მოყვარულთათვის კარგადაა ცნობილი, რომ სპორტული მოძრაობის დღევანდელი ტემპით განვითარება განაპირობებს ყოველწლიურად სულ ახალი ჩემპიონებისა და რეკორდსმენების გამოვლინებას, ამიტომ უმაღლესი ტიტულის შენარჩუნება ნებისმიერი სპორტსმენისათვის დღეს ურთულეს ამოცანად ითვლება. ისიც ცნობილია, რომ თანამედროვე სპორტში მარტო სპორტული ტალანტი არ წყვეტს მაღალი შედეგის მიღწევის პრობლემას. ტალანტს უდავოდ დიდი და ხშირად გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს, მაგრამ ის უნდა ეფუძნებოდეს ყოველმხრივ ფიზიკურ, ფსიქოლოგიურ და ტაქტიკურ მომზადებას, რომლის ფონზე სპორტსმენის მიერ გამოვლენილი მაღალი ტექნიკა ანუ ნიჭი და მისი გააზრებული მოქმედება, საბოლოო ჯამში, სწორედ რომ ჩემპიონის ტიტულის მოპოვების საშუალებას იძლევა. აქვე ისიც მინდა აღვნიშნო, რომ სპორტსმენის მიერ მაღალი სპორტული შედეგის მიღწევა მარტო მის ტალანტზე და სწორ მომზადებაზე არ არის დამოკიდებული. აღნიშნული ბევრადაა განპირობებული იმ ქმედით დახმარებაზე, რომელსაც სპორტის ამა თუ იმ სახეობის მიმართ სახელმწიფო და კერძო სტრუქტურები უნდა ავლენდნენ, რის გარეშედაც სპორტის თანამედროვე დონეზე განვითარება დღეს პრაქტიკულად შეუძლებელია. და, კიდევ ერთი, დღეს, ისე როგორც არასდროს, განსაკუთრებით გაიზარდა მოთხოვნილება მწვრთნელების მუშაობის მიმართ, რომელთა საქმიანობის ეფექტურობა მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული მათ პროფესიონალიზმზე — თანამედროვე მომზადების დონეზე.

უდავო ფაქტია, რომ საქართველოში არასოდეს გამოილევა ნიჭიერ სპორტსმენთა, კერძოდ, მოჭიდავეთა რიცხვი. ამას მოწმობს ჩვენი ბავშვებისა და მოზარდი ასაკის მოჭიდავეების მიღწევები, მაგრამ, როდესაც საკითხი ეხება მოზრდილ მოჭიდავეთა მომზადების პრობლემას, განსაკუთრებით ოქროს მედლის მოპოების საკითხს, აქ თუგინდ უაღრესად მაღალი ტექნიკური მომზადების სპორტსმენების შემთხვევაშიც კი, მათი ყოველმხრივი ფიზიკური მომზადების საკითხებში ხშირად ვაწყდებით გარკვეულ ხარვეზებს, რაც ხდება ერთ-ერთი ძირითადი მიზეზი იმისა, რომ სადღეისოდ ჩვენს ყულაბაში ევროპის, მსოფლიოს ჩემპიონატებში და ოლიმპიურ თამაშებზე მოზრდილ მოჭიდავეთა მიერ მოპოვებული ოქროს მედლების რაოდენობა სულ უფრო მცირდება. როგორც ჩანს, თუ ბავშვებსა და მოზარდებს შორის ასპარეზობის დროს ტალანტი ძირითადად ასრულებს გადამჭრელ როლს, იგივეს ვერ ვიტყვით მოზრდილ სპორტსმენთა და კერძოდ, მოჭიდავეთა მიმართ. მათ შემთხვევაში ფიზიკური მომზადების მაღალ დონეს განსაკუთრებულ მნიშვნელობას უნდა ვანიჭებდეთ, რაც საქართველოს ჭიდაობის ინსტიტუტის მუშაობის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ნაკლად მიმაჩნია. აღნიშნული დამახასიათებელია საქართველოს სპორტის თითქმის ყველა სახეობის სპორტსმენებისთვის, ვინაიდან ჩვენს სპორტსმენთა უდიდეს ნაწილს არ შეუძლია არასათანადო ფიზიკური მომზადების გამო მაღალი ფიზიკური გამძლეობის ფონზე ძალის, სისწრაფისა და ტექნიკური მომზადების გამოვლინება, რაც ექსტრაკლასის სპორტსმენთათვის ჩვეულებრივ თვისებად ითვლება.

დავუბრუნდეთ ისევ ჭიდაობას. ჩვენ ხშირად ვყოფილვართ მოწმენი იმისა, როდესაც თავისი არასათანადო ფიზიკური მომზადების, კერძოდ, ფიზიკური თვისების — ძალის არა საკმარის განვითარების შედეგად ჩვენი ფალავანი ვერაფერს ვერ უხერხებდა პარტერში მყოფ თავის მოწინააღმდეგეს. ამ დროს საჭიროა პარტერში მყოფ სპორტსმენის ე.წ. „დატრიალება“, ამას კი ესაჭიროება ძალის, სისწრაფის და გამძლეობის ძალიან მაღალი დონე, რასაც ხშირად ჩვენი ფალავნები ვერ ავლენენ.

ამ პატარა წერილში არ ვაპირებ ჭიდაობაში წვრთნის მეთოდიკის საკითხების გარჩევას, ვინაიდან ეს პრობლემა მწვრთნელისა და ექიმის მიერ ერთობლივი მუშაობით უნდა წარმოებდეს, მაგრამ ვიტყვი იმას, რომ თუ სპორტის ნებისმიერ სახეობაში და მათ შორის ჭიდაობაში, არ ჩამოყალიბდა მწვრთნელისა და სპორტის ექიმის ერთობლივი მუშაობის ინსტიტუტი, საქართველოს სპორტსმენებისათვის ოქროს



მედლის მოპოვება მნიშვნელოვან ასპარეზობებზე ყოველთვის პრობლემა იქნება. უნდა შევთანხმდეთ, რომ ოქროს მედლისათვის სპორტსმენის მომზადება მოითხოვს სპორტისა და სპორტული მედიცინის მეცნიერული მიღწევების ბევრად უფრო ფართოდ გამოყენებას. როგორ შეიძლება, რომ დღეს მწვრთნელი არ ერკვეოდეს ფიზიკური მუშაობის უნარის ამსახველი მონაცემების ცვლილებათა დინამიკაში, რაც ნათელ წარმოდგენას იძლევა ორგანიზმის იმ ფიზიკურ კონდიციებზე, რომელზედაც დაყრდნობით უნდა წარმოებდეს სპორტსმენთა წვრთნის მართვა და ა.შ.

თუ რა მნიშვნელობა აქვს სპორტსმენთა, კერძოდ, ფეხბურთელთა საერთო და სპეციალურ ფიზიკურ მომზადებას ფეხბურთში, მსოფლიოს ჩემპიონატმა დაგვანახვა, რომ იმარჯვებს ის გუნდი, რომელსაც აქვს უნარი უმაღლესი გამძლეობის ფონზე უმაღლესი სისწრაფის, ძალის, ტექნიკის, ტაქტიკისა და ფსიქოლოგიური მომზადების დონის გამოვლინების უნარი.

ჩვენ მიგვაჩნია, რომ სპორტის სახეობების მიხედვით, ფედერაციებმა სპეციალურად უნდა განიხილონ მწვრთნელებისა და ექიმების ერთობლივი მუშაობის საკითხი. ჩვენ უნდა მივაღწიოთ იმას, რომ მწვრთნელმა და ექიმმა უნდა გამოიტანონ დასკვნა, არის თუ არა სპორტსმენი მომზადებული უმაღლესი ტიტულის ანუ ოქროს მედლის მოსაპოვებლად, რაც მეცნიერულ საფუძველს უნდა ემყარებოდეს.

**რომანოზ სვანიშვილი**

**პროფესორი.**

# კალენდარი გამოქვეყნდა

დაპირებისამებრ, პროფესიული ფეხბურთის ლიგის მესვეურები უმაღლესი ლიგის კლუბების თავკაცებს ოთხშაბათს სპორტის დეპარტამენტის სააქტო დარბაზში შეხვდნენ და მათთან ერთად საქართველოს XVIII ეროვნული ჩემპიონატის კალენდრის ავ-კარგზე იმსჯელეს. კრების შემდეგ კალენდარმა, თითქმის, საბოლოო სახე მიიღო. თუმცა, პირველობის დაწყებამდე მცირე ცვლილებებია მოსალოდნელი, რაც უმთავრესად მატჩების თარიღებს ეხება. ამიტომაც, ამჯერად, ჩემპიონატის კალენდრის პროექტს შემოგთავაზებთ: გაცხადდა ჩემპიონატის დებულების რამდენიმე ცვლილება. გაუქმდა ოქროს მატჩი; თანაბარი ქულების შემთხვევაში უპირატესობა გუნდების ურთიერთშეხვედრების შედეგით განისაზღვრება; აღარ დაინიშნება რეგიონალურიდან პირველ ლიგაში გადასასვლელი მატჩები; ჭაბუკთა ლიგაში 1989, 1990 და 1991 წლებში დაბადებული ფეხბურთელები იასპარეზებენ.

ჩამოყალიბდა სარევიზიო კომისია დიმიტრი რამიშვილის, გიორგი ქავთარაძის და რევაზ ლორთქიფანიძის შემადგენლობით. ეს კომისია სფფ-ს აღმასკომს გააცნობს კლუბებში არსებულ ვითარებას და აღმასკომი ამის შემდეგ განსაზღვრავს, რამდენი გუნდი ითამაშებს უმაღლეს ლიგაში. ლაპარაკია იმაზე, რომ უმაღლესიდან გავარდეს ოთხი და გადმოვიდეს ორი. ამ საკითხზე მსჯელობა გაგრძელდება. სასურველია მატჩების დაწყების დრო არ შეიცვალოს და კონკრეტულ თვეში, ტურში ყველა მატჩი ერთდროულად დაიწყოს. სარევიზიო კომისია ჩვენი გუნდების ევროთასებზე ასპარეზობის შედეგებით დაადგენს სუპერთასის მატჩის თარიღს, იმუშავებს ლატარიის გათამაშების საკითხზეც. პროფლიგამ დანერგა კიდევ ერთი სიახლე – შემოიღო მოთამაშე-მწვრთნელის სტატუსი, რათა მათაც შეეძლოთ სათადარიგოთა სკამზე ჯდომა.

პროექტი

## საქართველოს 2006-07 წლების XVIII ეროვნული ჩემპიონატის უმაღლესი ლიგის კალენდარი

**I წრე**

**I ტური**
**29.07.2006. შაბათი**
„დინამო თბილისი" – „ბორჯომი" ბორჯომი
„დილა" გორი – „დინამო" ბათუმი
„სიონი" ბოლნისი – „თბილისი" თბილისი
„კოლხეთი-1913" ფოთი – „მერანი" თბილისი
„კახეთი" თელავი – „ცხინვალი" ცხინვალი
„ზესტაფონი" ზესტაფონი – „ლოკომოტივი" თბილისი.

**31.07. 2006. ორშაბათი**
„ამერი" თბილისი – „ჩიხურა" საჩხერე
„ქუთაისის ტორპედო" – „ვიტ ჯორჯია" თბილისი

**II ტური**
**05.08.2006. შაბათი**
ვიტ ჯორჯია – სიონი
დინამო ბათუმი – ამერი
**06.08. 2006. კვირა**
ბორჯომი – ლოკომოტივი
ცხინვალი – ზესტაფონი
მერანი – კახეთი
თბილისი – კოლხეთი-1913
ჩიხურა – ტორპედო
დინამო თბილისი – დილა

**11-12.08. 2006**
თასის 1/16 ფინალი

**III ტური**
**20.08. 2006. კვირა**
დილა – ბორჯომი
ამერი – დინამო თბილისი
ტორპედო – დინამო ბათუმი
სიონი – ჩიხურა
კოლხეთი01913 – ვიტ ჯორჯია
კახეთი – თბილისი
ზესტაფონი – მერანი
ლოკომოტივი – ცხინვალი

**23.08. 2006 ოთხშაბათი**
თასის 1/16 ფინალი
განმეორებითი

**IV ტური**
**27.08.2006. კვირა**
ბორჯომი – ცხინვალი
მერანი – ლოკომოტივი
თბილისი – ზესტაფონი
ვიტ ჯორჯია – კახეთი
ჩიხურა – კოლხეთი-1913
დინამო ბათუმი – სიონი
დინამო თბილისი – ტორპედო
„დილა" – ამერი

**V ტური**
**09.09.2006. შაბათი**
ამერი – ბორჯომი
ტორპედო – „დილა"
სიონი – დინამო თბილისი
კოლხეთი-1913 – დინამო ბათუმი
კახეთი – ჩიხურა
ზესტაფონი – ვიტ ჯორჯია
ლოკომოტივი – თბილისი
ცხინვალი – მერანი

**VI ტური**
**13.09. 2006. ოთხშაბათი**
ბორჯომი – მერანი
თბილისი – ცხინვალი
ვიტ ჯორჯია – ლოკომოტივი
ჩიხურა – ზესტაფონი
დინამო ბათუმი – კახეთი
დინამო თბილისი – კოლხეთი-1913
დილა – სიონი
ამერი – ტორპედო

**VII ტური**
**17.09. 2006. კვირა**
ტორპედო – ბორჯომი
სიონი – ამერი
კოლხეთი-1913 – დილა
კახეთი – დინამო თბილისი
ზესტაფონი – დინამო ბათუმი
ლოკომოტივი – ჩიხურა
ცხინვალი – ვიტ ჯორჯია
მერანი – თბილისი

**VIII ტური**
**24.09. 2006. კვირა**
ბორჯომი – თბილისი
ვიტ ჯორჯია – მერანი
ჩიხურა – ცხინვალი
დინამო ბათუმი – ლოკომოტივი
დინამო თბილისი – ზესტაფონი
დილა – კახეთი
ამერი – კოლხეთი-1913
ტორპედო – სიონი

**27-28.09. 2006.**
თასის 1/8 ფინალი

**IX ტური**
**14.10. 2006. შაბათი**
სიონი – ბორჯომი
კოლხეთი-1913 – ტორპედო
კახეთი – ამერი
ზესტაფონი – დილა
ლოკომოტივი – დინამო თბილისი
ცხინვალი – დინამო ბათუმი
მერანი – ჩიხურა
თბილისი – ვიტ ჯორჯია

**X ტური**
**21.10. 2006. შაბათი**
ბორჯომი – ვიტ ჯორჯია
ჩიხურა – თბილისი
დინამო ბათუმი – მერანი
დინამო თბილისი – ცხინვალი
დილა – ლოკომოტივი
ამერი – ზესტაფონი
ტორპედო – კახეთი
სიონი – კოლხეთი-1913

**24-25. 10. 2006**
თასის 1/8 ფინალი
განმეორებითი

**XI ტური**
**28.10. 2006. შაბათი**
კოლხეთი-1913 – ბორჯომი
კახეთი – სიონი
ზესტაფონი – ტორპედო
ლოკომოტივი – ამერი
ცხინვალი – დილა
მერანი – დინამო თბილისი
თბილისი – დინამო ბათუმი
ვიტ ჯორჯია – ჩიხურა

**XII ტური**
**04. 11. 2006. შაბათი**
ბორჯომი – ჩიხურა
დინამო ბათუმი – ვიტ ჯორჯია
დინამო თბილისი – თბილისი
დილა – მერანი
ამერი – ცხინვალი
ტორპედო – ლოკომოტივი
სიონი – ზესტაფონი
კოლხეთი-1913 –კახეთი

**XIII ტური**
**11.11. 2006. შაბათი**
კახეთი – ბორჯომი
ზესტაფონი – კოლხეთი-1913
ლოკომოტივი – სიონი
ცხინვალი – ტორპედო
მერანი – ამერი
თბილისი – დილა
ვიტ ჯორჯია – დინამო თბილისი
ჩიხურა – დინამო ბათუმი

**XIV ტური**
**18.11. 2006. შაბათი**
ბორჯომი – დინამო ბათუმი
დინამო თბილისი – ჩიხურა
დილა – ვიტ ჯორჯია
ამერი – თბილისი
ტორპედო – მერანი
სიონი – ცხინვალი
კოლხეთი-1913 – ლოკომოტივი
კახეთი – ზესტაფონი

**21-22.11. 2006.**
თასის 1/4 ფინალი

**XV ტური**
**26.11. 2006. კვირა**
ზესტაფონი – ბორჯომი
ლოკომოტივი – კახეთი
ცხინვალი – კოლხეთი-1913
მერანი – სიონი
თბილისი – ტორპედო
ვიტ ჯორჯია – ამერი
ჩიხურა – დილა
დინამო ბათუმი – დინამო თბილისი

**2.3.12. 2006**
თასის 1/4 ფინალი
განმეორებითი

**II წრე**

**XVI ტური**
**20.02. 2007. სამშაბათი**
ბორჯომი – დინამო თბილისი
დინამო ბათუმი – დილა
თბილისი – სიონი
მერანი – კოლხეთი-1913
ცხინვალი – კახეთი
ლოკომოტივი – ზესტაფონი
ჩიხურა – ამერი
ვიტ ჯორჯია – ტორპედო

**XVII ტური**
**24.02. 2007. შაბათი**
ლოკომოტივი – ბორჯომი
ზესტაფონი – ცხინვალი
კახეთი – მერანი
კოლხეთი-1913 – თბილისი
სიონი – ვიტ ჯორჯია
ტორპედო – ჩიხურა
ამერი – დინამო ბათუმი
დილა – დინამო თბილისი

**XVIII ტური**
**03.03. 2007. შაბათი**
ბორჯომი – დილა
დინამო თბილისი – ამერი
დინამო ბათუმი – ტორპედო
ჩიხურა – სიონი
ვიტ ჯორჯია – კოლხეთი-1913
თბილისი – კახეთი
მერანი – ზესტაფონი
ცხინვალი – ლოკომოტივი

**07.03. 2007 ოთხშაბათი**
თასის 1/2 ფინალი

**XIX ტური**
**11.03. 2007. კვირა**
ცხინვალი – ბორჯომი
ლოკომოტივი – მერანი
ზესტაფონი – თბილისი
კახეთი – ვიტ ჯორჯია
კოლხეთი-1913 – ჩიხურა
სიონი – დინამო ბათუმი
ტორპედო – დინამო თბილისი
ამერი – დილა

**XX ტური**
**18.03. 2007. კვირა**
ბორჯომი – ამერი
დილა – ტორპედო
დინამო თბილისი – სიონი
დინამო ბათუმი – კოლხეთი 1913
ჩიხურა – კახეთი
ვიტ ჯორჯია – ზესტაფონი
თბილისი – ლოკომოტივი
მერანი – ცხინვალი

**XXI ტური**
**31.03. 2007. შაბათი**
მერანი – ბორჯომი
ცხინვალი – თბილისი
ლოკომოტივი – ვიტ ჯორჯია
ზესტაფონი – ჩიხურა
კახეთი – დინამო ბათუმი
კოლხეთი 1913 – დინამო თბილისი
სიონი – დილა
ტორპედო – ამერი

**XXII ტური**
**07.04. 2007 შაბათი**
ბორჯომი – ტორპედო
ამერი – სიონი
დილა – კოლხეთი 1913
დინამო თბილისი – კახეთი
დინამო ბათუმი – ზესტაფონი
ჩიხურა – ლოკომოტივი
ვიტ ჯორჯია – ცხინვალი
თბილისი – მერანი

**XXIII ტური**
**13.04. 2007. პარასკევი**
თბილისი – ბორჯომი
მერანი – ვიტ ჯორჯია
ცხინვალი – ჩიხურა
ლოკომოტივი – დინამო ბათუმი
ზესტაფონი – დინამო თბილისი
კახეთი – დილა
კოლხეთი-1913 – ამერი
სიონი – ტორპედო

**17.04. 2007. სამშაბათი**
თასის 1/2 ფინალი
განმეორებითი

**XXIV ტური**
**21.04.2007**
ბორჯომი – სიონი
ტორპედო – კოლხეთი-1913
ამერი – კახეთი
დილა – ზესტაფონი
დინამო თბილისი – ლოკომოტივი
დინამო ბათუმი – ცხინვალი
ჩიხურა – მერანი
ვიტ ჯორჯია – თბილისი

**XXV ტური**
**27.04. 2007. პარასკევი**
ვიტ ჯორჯია – ბორჯომი
თბილისი – ჩიხურა
მერანი – დინამო ბათუმი
ცხინვალი – დინამო თბილისი
ლოკომოტივი – დილა
ზესტაფონი – ამერი
კახეთი – ტორპედო
კოლხეთი-1913 – სიონი

**XXVI ტური**
**01.05. 2007. სამშაბათი**
ბორჯომი – კოლხეთი 1913
სიონი – კახეთი
ტორპედო – ზესტაფონი
ამერი – ლოკომოტივი
დილა – ცხინვალი
დინამო თბილისი – მერანი
დინამო ბათუმი – თბილისი
ჩიხურა – ვიტ ჯორჯია

**XXVII ტური**
**05.05.2007. შაბათი**
ჩიხურა – ბორჯომი
ვიტ ჯორჯია – დინამო ბათუმი
თბილისი – დინამო თბილისი
მერანი – დილა
ცხინვალი – ამერი
ლოკომოტივი – ტორპედო
ზესტაფონი – სიონი
კახეთი – კოლხეთი-1913

**XXVIII ტური**
**12.05. 2007. შაბათი**
ბორჯომი – კახეთი
კოლხეთი-1913 – ზესტაფონი
სიონი – ლოკომოტივი
ტორპედო – ცხინვალი
ამერი – მერანი
დილა – თბილისი
დინამო თბილისი – ვიტ ჯორჯია
დინამო ბათუმი – ჩიხურა

**XXIX ტური**
**16.05. 2007. ოთხშაბათი**
დინამო ბათუმი – ბორჯომი
ჩიხურა – დინამო თბილისი
ვიტ ჯორჯია – დილა
თბილისი – ამერი
მერანი – ტორპედო
ცხინვალი – სიონი
ლოკომოტივი – კოლხეთი-1913
ზესტაფონი – კახეთი

**XXX ტური**
**20.05. 2007. კვირა**
ბორჯომი – ზესტაფონი
კახეთი – ლოკომოტივი
კოლხეთი-1913 – ცხინვალი
სიონი – მერანი
ტორპედო – თბილისი
ამერი – ვიტ ჯორჯია
დილა – ჩიხურა
დინამო თბილისი – დინამო ბათუმი

**26.05. 2007. შაბათი**
თასის ფინალი


ფოტო ელდარ მალხაზიშვილისა

# დინამოელს უელსელი განსჯის

კვირას, ქართული კლუბები ევროთასების გათამაშებაში გააგრძელებენ ასპარეზობას. 9 ივლისს, 19 საათზე, მიხეილ მესხის სახელობის სტადიონზე თბილისის „დინამო" ავსტრიულ „რიდს" უმასპინძლებს, პირველ მატჩში დამარცხებისთვის რევანშის აღებას და ინტერტოტოს თასის მესამე ეტაპზე გასვლას შეეცდება. ქართველების და ავსტრიელების საფეხბურთო პაექრობას უელსელი მსაჯები გაუძღვებიან: მ. უითბი, ბოორი და უილიამსი. მეოთხე მსაჯი კი ჩვენებური ვასილ ელისაბედაშვილია.

შეგახსენებთ, ერთი კვირის წინ „დინამო" გასვლით მატჩში 1-3 დამარცხდა და ახლა ორბურთიანი სხვაობის გაბათილება მოუწევს. კახა კაჭარავას შეგირდები ავსტრიაში ოთხშაბათამდე დარჩნენ და ოფიციალურ მატჩთან ერთად, კიდევ, რამდენიმე საკონტროლო შეხვედრა გამართეს. ახლა გუნდი თბილისშია და მეტოქეს და მატჩის დღეს ელის.

რამდენიმე დღეში, დინამოელებს მხარს აუბამენ სიონელები, ამერელები და ვიტელები. 11 ივლისს, ჩემპიონთა ლიგაში ჩაებმება ბოლნისის „სიონი", უეფას თასზე, 13 ივლისს, ასპარეზობას დაიწყებენ თბილისის „ამერი" და „ვიტ ჯორჯია". „სიონის" მეტოქე აზერბაიჯანული „ბაქია", „ამერს" სომხური „ბანანცი", „ვიტ ჯორჯია" კი სლოვაკურ „არტმედიას" ესტუმრება. ჩემპიონთა ლიგაში ჩვენებურთა მატჩის მსაჯები გერმანელები არიან. უეფას თასზე ამერელთა შეხვედრას ლუქსემბურგელი არბიტრი გაუძღვება.

# საზღვარგარეთის ფეხბურთის ამბები

## იტალიელები და ფრანგები ფინალში ითამაშებენ

გერმანიის ნაკრებთან ჭიდილში „სკუადრა აძურა" მსოფლიო ჩემპიონატის ფინალში გავიდა. იტალიელებმა ეს დამატებითი დროის უკანასკნელ წამებზე მოახერხა, — მაშინ, როცა ყველა თერთმეტმეტრიანების სერიას ელოდა.

„საუკუნის მატჩი" — ეს პათეტიკური ეპითეტი წლების განმავლობაში ახლდა ხოლმე გერმანიისა და იტალიის ნაკრებთან შეხვედრებს. წლევანდელი მატჩი რიგით 28-ე იყო. ზემოთ ხსენებული ეპითეტი კი 26 წლის წინათ გაჩნდა. 1970 წელს მექსიკაში გამართულ მსოფლიო ჩემპიონატის მატჩს იტალიელთა და გერმანელთა მონაწილეობით 70 ათასამდე მაყურებელი დაესწრო. მაშინ ძირითადი დრო ფრედ — 1-1 დასრულდა, თავიდან იტალიელები დაწინაურდნენ, გერმანელი ფეხბურთელები მხოლოდ უკანასკნელ წუთზე გაექცნენ მარცხს. დამატებით დროში გოლების წვიმა იყო — სულ ხუთი ბურთი გავიდა. გადამწყვეტი ბურთის ავტორი ლეგენდარული ჯანი რივერა იყო — „სკუადრა აძურამ" 4-3 იმარჯვა.

1982 წელს, იტალიის ნაკრებმა მსოფლიო ჩემპიონატის ფინალში 3-1 დაამარცხა გერმანიის გუნდი და ჩემპიონი გახდა. ეს ტიტული „სკუადრა აძურას" დღემდე ალარ ღირსებია. მსოფლიო ჩემპიონობას მოწყურებული იტალიელი ფეხბურთელები სამშაბათს რთული ამოცანის წინაშე იდგნენ — მათი მეტოქე — გერმანიის ნაკრები ტურნირის მასპინძლის როლს თამაშობდა. გერმანელებს „საკუთარი კედლების" იმედი ჰქონდათ. ამ მატჩს იტალიის ნაკრები აპენინებიდან მოსული სკანდალური ამბებით შეხვდა. ცნობილია, რომ ფინანსური მაქინაციების გამო იტალიის სერია „ა"-დან მოკვეთა წამყვან გუნდებს ემუქრებათ, — მათ შორის ტურინის „იუვენტუსსა" და „მილანს". ყოველივე ეს მძიმე გავლენას ახდენდა ფეხბურთელებზე... და მაინც, — თამაშის პირველი ნახევარი „სკუადრა აძურას" უპირატესობით მიმდინარეობდა. თავად განსაჯეთ, — გერმანელებს იტალიელთა კარისკენ ერთხელაც არ დაურტყავთ. ბალაკმა, პოდოლსკიმ და შნაიდერმა ბურთი მიზანს ააცილეს. მოედანზე, საერთოდ, არ „ჩანდა" კლოზე... ის მხოლოდ მეორე ნახევრის დასაწყისში გამოფხიზლდა თანაგუნდელებთან ერთად — მასპინძლები გააქტიურდნენ, თუმცა, ბურთის გატანას ვერ ახერხებდნენ. გულშემატკივრებს იმედი გაუცრუა ბალაკმა, რომელმაც რამდენჯერმე უხეიროდ დაარტყა მეტოქის კარის მიმართულებით. საბოლოოდ, ძირითადმა დრომ უგოლოდ ჩაიარა და მსაჯმა დამატებითი დრო დანიშნა.



განახლდა თუ არა თამაში, ჯილარდინო ბრწყინვალე დრიბლინგით გასცდა გერმანელ მცველს, მაგრამ დარტყმა გაუცუდდა, შემდეგ ძამბროტამ ძელს მოახვედრა ბურთი. რამდენჯერმე ლემანმაც ივაჟკაცა. მეორე დამატებით დროში ორმხრივი შეტევები ხორციელდებოდა, გოლი კი არ ჩანდა. ყველა თერთმეტმეტრიანის სერიისათვის ემზადებოდა. იქამდე ორი წუთი რჩებოდა და... აქ მოხდა სასწაული. 119-ე წუთზე გროსომ ლამაზი ტრაექტორიით ჩააგდო ბურთი გერმანელთა კარში. გერმანელთათვის ეს იყო ნამდვილი შოკი. გონსაც ვერ მოეგნენ მასპინძლები და დელ პიერომ მეორე ბურთი გაიტანა! „სკუადრა აძურა" ზეიმობდა...



ფინალში იტალიელთა მეტოქე საფრანგეთის ნაკრებია, რომელმაც პორტუგალიელთა გუნდი დაამარცხა მინიმალური ანგარიშით — 1-0.

„ცხოვრება 30 წლის ასაკის შემდეგ იწყება", — ეს ფრაზა სრულიად მიესადაგება საფრანგეთის ამჟამინდელ ნაკრებს, რომლის მოთამაშეთა საშუალო ასაკი 30-ია.

მსოფლიოს ჩემპიონატის დაწყებამდე, ფრანგთა მთავარ მწვრთნელს დომენეკს ხშირად აკრიტიკებდნენ შემადგენლობაში ვეტერანთა სიმრავლის გამო. ჯგუფურ ეტაპზე დომენეკის გუნდი „პენსიონერთა ნაკრებადაც" მონათლეს. მოხდა სასწაული. ჯგუფიდან გასვლის შემდეგ ფრანგი „ბებრები" გარდაიქმნენ და ბრწყინვალე თამაში აჩვენეს. მათ პორტუგალიელებიც დაჯაბნეს. ნახევარფინალური მატჩის მთავარი მოქმედი პირი, რაღა თქმა უნდა, ზინედინ ზიდანი იყო. სწორედ მან გაიტანა შეხვედრაში ერთადერთი ბურთი პორტუგალიელთა კარში, 33-ე წუთზე ანრის წაქცევისათვის მსაჯმა თერთმეტმეტრიანი დანიშნა და ზიდანის დარტყმაც ზუსტი იყო. ამის შემდეგაც იქმნებოდა სახიფათო მომენტები, მეორე ნახევარში პორტუგალიელები გააქტიურდნენ, მაგრამ ფიგუმ და „კომპანიამ" ანგარიშის გათანაბრება ვერ მოახერხეს, — ფრანგთა კარს საიმედოდ იცავდა „ბებერი" ბარტეზი. ბოლო წუთზე ზედიზედ ორჯერ ჩამოაწოდეს კუთხური პორტუგალიელებმა, მაგრამ, უშედეგოდ. ვერც გოლკიპერ რიკარდოს ფრანგთა საჯარიმოში მირბენამაც ვერ უშველა ლუის ფილიპე სკოლარს.

**1/2 ფინალი. მატჩი №61. 04.07. დორტმუნდი. 66 982 მაყურებელი**

**გერმანია – იტალია 0-0 დ.დ. 0-2**

**გერმანია:** ლემანი, ფრიდრიხი, მერტეზაკერი, მეტცელდერი, ლამი, კელი, ბალაკი, შნაიდერი (ოდონკორი, 83), ბოროვსკი (შვაინშტაიგერი, 73), კლოზე (ნოივილი, 111), პოდოლსკი.

**იტალია:** ბუფონი, ძამბროტა, მატერაცი, კანავარო, გროსო, პეროტა (დელ პიერო, 104), პირლო, გატუზო, კამორანეზი (იაკუინტა, 91), ტოტი, ტონი (ჯილარდინო, 74).

**გოლები:** 0-1 გროსო (119), 0-2 დელ პიერო (120).

**გააფრთხილეს:** ბოროვსკი (40), მეტცელდერი (56), კამორანეზი (90).

**არბიტრი:** ბენიტო არჩუნდია (მექსიკა).

**1/2 ფინალი. მატჩი №62. 05.07. მიუნხენი. 66 000 მაყურებელი**

**პორტუგალია – საფრანგეთი 0-1**

**პორტუგალია:** რიკარდო, მიგელი (პაულო პერეირა, 62), ფერნანდო მეირა, რიკარდო კარვალიო, ნუნუ ვალენტე, მანიშე, კოშტინია (ელდერ პოშტიგა, 75), რონალდო, დეკუ, ფიგუ, პაულეტა (სიმაო, 68).

**საფრანგეთი:** ბარტეზი, სანიოლი, ტიურამი, გალასი, აბიდალი, ვიეირა, მაკელელე, რიბერი, (გოვუ, 72), მალუდა (ვილტორი, 69), ზიდანი, ანრი (საა, 85).

**გოლი:** 0-1 ზიდანი ( 33-პენ).

**გააფრთხილეს:** რიკარდო კარვალიო (82), საა (87).

**არბიტრი:** ხორხე ლარიონდა (ურუგვაი).



### დომენეკი: „9 ივლისს, ბერლინში... ჩვენ გავიმარჯვებთ

საფრანგეთის ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა რაიმონ დომენეკმა განაცხადა, რომ ის ამაყობს თავისი შეგირდებით.

„წინ კიდევ ერთი თამაში გვაქვს. ახლა ჩვენი მიზანი ფინალში გამარჯვებაა. ტურნირის დაწყებამდე ვამბობდი, რომ მთავარი ამოცანა 9 ივლისს ბერლინში ჩასვლა იყო. ახლა კი ბერლინში ზეიმს ვგეგმავთ. ზიდანი უკანასკნელ მატჩს ატარებს და ალბათ, კარგ განწყობაზე დაასრულებს. მას ძალიან უნდა კარიერა მსოფლიო ჩემპიონის რანგში დაასრულოს"... — ამბობს დომენეკი.

## დელ პიერო: „ღმერთმა დამაჯილდოვა"



ადრე იტალიელ გულშემატკივრებს ვერ წარმოედგინათ თავიანთი ქვეყნის ნაკრები ალესანდრო დელ პიეროს გარეშე. ეს ფეხბურთელი ერთი პერიოდი იტალიური ფეხბურთის სიმბოლოდ ითვლებოდა. ბოლო პერიოდში დელ პიეროს არცთუ წარმატებით მისდიოდა საქმეები სანაკრებო დონეზე, არცთუ ხშირად ჩნდებოდა იტალიის ნაკრების ძირითად შემადგენლობაში... და აი, გერმანელებთან ნახევარფინალურ მატჩში იტალიელმა ფანებმა ისევ ძველი დელ პიერო იხილეს, რომელმაც გადამწყვეტი ბურთი გაიტანა. მატჩის შემდეგ ალესანდრო ემოციებს ვერ იკავებდა.

— ასეთ შეხვედრაში მონაწილეობა მეტად მნიშვნელოვანი იყო ჩემთვის. გერმანელებს მოუგო მათსავე ქვეყანაში... ვერ გადმოგცემთ იმ გრძნობას სიტყვებით, გამარჯვების შემდეგ რომ დამეუფლა. მე ხომ მაკრიტიკებდნენ ბოლო პერიოდში და ახლა დავანახვე ყველას, თუ რა შემიძლია — ამბობს ალესანდრო დელ პიერო.

◆ ***რის ხარჯზე მოიგო იტალიის ნაკრებმა?***

— ამ ტურნირში ყველაზე ძნელი მატჩი ვითამაშეთ. გამარჯვება ფანტასტიკურმა ერთიანობამ მოგვიტანა. ჩვენ ერთი მიზანი გვქონდა და დიდი მონდომების შედეგად მივაღწიეთ მას, — თანაც გერმანელებით გადაჭედილ სტადიონზე.



◆ ***როგორ უცქეროდით თამაშს სათადარიგო სკამიდან?***

— ძალიან მინდოდა მოედანზე გამოსვლა და თანაგუნდელთათვის დახმარების გაწევა. ვიტანჯებოდი. საბედნიეროდ, მომეცა მოედანზე გამოსვლის საშუალება და ბედნიერი ვარ, რომ გამარჯვებაში ჩემი წვლილიც შევიტანე. მინდა მადლობა ვუთხრა მწვრთნელს ნდობისათვის.

◆ ***ლიპიმ იცოდა, რომ ბურთს გაიტანდით. ეს მან მატჩის შემდეგ აღიარა.***

— ვიცი. მან ეს მითხრა მაშინ, როცა მოედანზე გამოსასვლელად ვემზადებოდი. ბედნიერი ვარ, რომ მწვრთნელს იმედი გავუმართლე — ღმერთმა დამაჯილდოვა იმით, რომ გუნდს დავეხმარე.

◆ ***წინ ფინალია ფრანგებთან...***

— ეს იქნება ჩემს კარიერაში უკანასკნელი მატჩი მსოფლიო ჩემპიონატზე. ამიტომ შევეცდები, საკუთარი შესაძლებლობები მაქსიმალურად გამოვავლინო.

### კაპელო – „რეალის" მწვრთნელი

იტალიელი სპეციალისტი ფაბიო კაპელო ოფიციალურად დაინიშნა მადრიდის „რეალის" მთავარ მწვრთნელად. გუშინ ის წარსდგა „სამეფო კლუბის" გულშემატკივრების წინაშე. შეგახსენებთ, რომ კაპელო 1996 წელსაც წვრთნიდა „რეალს", ხოლო ბოლო სეზონი „იუვენტუსს" თავკაცობდა.

### ფეხბურთის გამო...

გერმანიაში მიმდინარე მსოფლიო ჩემპიონატის მატჩებს მილიონობით ადამიანი ადევნებს თვალს. თურმე, ნერვიულობას უკვე 50 ადამიანის სიცოცხლე შეუწირავს. აქედან 11 შემთხვევა ჩინეთში მოხდა... არადა, ჩინეთის ნაკრები საერთოდ, ვერ მოხვდა ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე.

### თეიმურიანით „ბოლტონი" დაინტერესდა

ირანის ნაკრების 23 წლის ნახევარმცველით, ანდრანიკ თეიმურიანით დაინტერესდა ინგლისური საფეხბურთო კლუბი „ბოლტონი". საინტერესოა, რომ თეიმურიანით დაინტერესებული არიან თურქული, გერმანული და კატარის კლუბებიდან.

## „იუვენტუსს", „მილანს", „ფიორენტინასა" და „ლაციოს" აქვეითებენ...

რომში, ოლიმპიურ სტადიონზე სპორტული ტრიბუნალი თავისი უფლება-მოვალეობების შესრულებას განაგრძობს. აქამდე თუ საქმე მოწმეთა და ბრალდებულთა დაკითხვებს არ გასცილებია, გუშინ სამართალდამცავები უკვე კონკრეტულ მოქმედებებზე გადავიდნენ.

საქვეყნოდ გახმაურებული საქმის, „კალჩიოპოლის" პროკურორმა სტეფანო პალაციმ მატჩების ჩაწყობასა და სხვა მაქინაციებში ეჭვმიტანილ გუნდებს სავარაუდო სანქციები სულ სხაპასხუპით ჩაუკითხა. კერძოდ, პალაცი ითხოვს, რომ ტურინის „იუვენტუსს" ჩამოერთვას ბოლო ორი „სკუდეტო", სერია A-დან სერია C-ში დაქვეითდეს და ამასთან, მომავალი სეზონი 6 ქულის ჩამოკლებით, ანუ -6 ქულით დაიწყოს.

პალაცი არც დანარჩენი ეჭვმიტანილი სამი გუნდის მიმართ იჩენს დიდ ლმობიერებას. „ლაციოსა" და „ფიორენტინასათვის" ის აბსოლუტურად ერთნაირი სასჯელის შეფარდებას ითხოვს - გუნდების სერია B-ში გადასროლა და უახლოეს სეზონში მათთვის 15-15 ქულის ჩამოკლება. პროკურორმა თავის განცხადებაში „მილანიც" სერია B-ს პოტენციურ მობინადრედ მოიხსენია, ოღონდ, იმ განსხვავებით, რომ მან სეზონი -3 ქულით უნდა დაიწყოს.

ეს, რაც შეეხებოდა კლუბებს, ახლა კონკრეტულ პიროვნებებზე გადავიდეთ. პალაციმ ბრალი 25 პიროვნებასაც წაუყენა. მან სპორტულ ტრიბუნალს „იუვენტუსის" ყოფილი გენერალური მენეჯერის, ლუჩანო მოჯის საფეხბურთო მოღვაწეობიდან 5 წლით ჩამოშორება და მისთვის ფინანსური სანქციების დადება შესთავაზა. პროკურორის მოთხოვნით, სპორტულ სფეროს ასევე 5-5 წლით უნდა ჩამოშორდნენ „იუვეს" ყოფილი აღმასრულებელი დირექტორი ანტონიო ჯირაუდო, „ლაციოს" პრეზიდენტი კლაუდიო ლოტიტო, „მილანის" ერთ-ერთი წარმომადგენელი ლეონარდო მეანი, „ფიორენტინას" საპატიო და მოქმედი პრეზიდენტები დიეგო და ანდრეა დელა ვალეები. ოღონდ, მათზე ფინანსური სანქციები არ განხორციელდება. რაც შეეხება კიდევ ერთ ეჭვმიტანილს, „მილანის" ვიცე-პრეზიდენტ ადრიანო გალიანის, პალაცი მის საფეხბურთო სამყაროდან მოკვეთას 2 წლის ვადით ითხოვს.

ასე რომ, პროკურატურამ თავისი სიტყვა თქვა, ახლა ჯერი მოსამართლეზეა, რომელიც განაჩენს 20 ივლისს გამოიტანს.

P.S. სასამართლო სხდომაზე „იუვენტუსის" ადვოკატმა ჩეზარე ძაკონემ „იუვენტუსის" სერია B-ში გადაყვანა მოითხოვა.

# ნბა

## ბენი ხარებში გაერია



„დეტროიტ პისტონსის" სუპერცენტრმა ბენ უოლასმა კლუბის შეთავაზება უარყო. მოგეხსენებათ, „ბიგ ბენს" თავის დამრიგებელ ფლიპ სონდერსთან ურთიერთობა გაუცუდდა, რამაც ბოლო დროს კლუბის გამოცვლაზე დააფიქრა. ბევრს საუბრობდნენ იმის შესახებ, რომ დეტროიტელები ლიგის ერთ-ერთ საუკეთესო ცენტრთან განშორებას არაფრით დაყაბულდებიან და უოლასს გაუმჯობესებული პირობების კონტრაქტსაც შესთავაზებენ, მაგრამ სინამდვილეში „დეტროიტმა" 32 წლის ვარსკვლავთან თანამშრომლობის გახანგრძლივება 4 წლით ისურვა და გასამრჯელოს სახით 49,6 მილიონი დოლარი აღუთქვა. რაღა თქმა უნდა, ბენმა ეს შეთავაზება მყისვე იუარა - აქაოდა, „ჩიკაგო ბულზი" ასევე ოთხწლიან კონტრაქტს მთავაზობს, მაგრამ დეტროიტელებივით არ ძუნწობსო. ირკვევა, რომ „ხარები" უოლასს 60-მილიონი კონტრაქტის გაფორმებას დაპირდნენ და საქმეს ისეთი პირი გამოუჩნდა, რომ NBA-ს საუკეთესო დაცვითმა მოთამაშემ კარიერის ჩიკაგოში გაგრძელება უკვე გადაწყვიტა კიდეც.

„თქმაც არ უნდა, თუ რაოდენ ვაფასებ იმას, რაც კლუბს პირადად ჩემთვის და ჩემი ოჯახისთვის გაუკეთებია - სახელიც აქ დავიგდე და ტიტულებიც „პისტონსთან" ერთად მოვიპოვე, თუმცა, „დეტროიტის" ასეთ წინადადებას არ დავთანხმდები", - განაცხადა ბენ უოლასმა.

* * *

„დენვერ ნაგეთსის" ბრაზილიელი ფორვარდ-ცენტრისთვის გასული უიკ-ენდი ძალზე ნაყოფიერი გამოდგა - ნენე ილარიომ რიო-დე-ჟანეიროში იქორწინა და კლუბთან ახალი კონტრაქტიც გააფორმა. დენვერელებმა ნიკა ცქიტიშვილის ყოფილ თანაგუნდელს. ძალზე სარფიანი ხელშეკრულება შესთავაზეს და ნენესაც ბევრი აღარ უფიქრია - ხუთ მომდევნო სეზონს ბრაზილიელი მეფარე „ნაგეთსში" გაატარებს და ამ ხნის განმავლობაში 60 მილიონ დოლარსაც მიიღებს.

იმის გათვალისწინებით, რომ „დენვერის" ხელმძღვანელობამ იგივე ვადითა და 80 მილიონის გაცემის პირობით დარჩენაზე მთავარი ვარსკვლავი კარმელო ენტონიც დაიყოლია, რაც უტყუარი სიმპტომია იმისა, რომ ამ 22-23 წლის ვარსკვლავ-ბიჭებთან ერთად „ნაგეთსის" მეპატრონე სტენ კროკე 2-3 წელიწადში გუნდს მიზნად ჩემპიონობის მოპოვებას დაუსახავს.

აქვე დავძენთ, რომ გასულ სეზონში ნენემ მხოლოდ სამი წუთი ითამაშა - ბრაზილიელმა რეგულარული ჩემპიონატის სასტარტო მატჩის დებიუტში მუხლის უმძიმესი ტრავმა მიიღო, რომლის საბოლოოდ მოშუშება ჯერაც ვერ მოუსწრია. ნენესთან კონტრაქტის გახანგრძლივების ინიციატივა „ნაგეთსის" მწვრთნელი ჯორჯ კარლისგან წამოვიდა, ვინც ბრაზილიელის ფიზიკური მონაცემებითა და ტექნიკური არსენალით აღფრთოვანებას ხშირად და სახალხოდ გამოთქვამს ხოლმე. ნენეს „დენვერში" დარჩენის ფაქტი იმას ნიშნავს, რომ კიდევ ერთ ვარსკვლავ მძიმე ფორვარდს, კენიონ მარტინს ახალი გუნდის მოძებნა მოუწევს.

## წვიმიან უიმბლდონზე

დასასრულს უახლოვდება უიმბლდონის საჩოგბურთო ტურნირი, რომლის ორგანიზატორებსაც ტრადიციული პრობლემა აქვთ, — ეს წვიმაა. ამის გამო, ხშირად ხდებოდა მატჩების გადადება. არც გუშინწინდელი თამაშები იყო გამონაკლისი. ვაჟთა შორის ბოლო, მეოთხე ნახევარფინალისტის ვინაობა დარჩა გასარკვევი. დანარჩენი სამი მეოთხედფინალური მატჩიც შეფერხებებით მიმდინარეობდა, თუმცა, დასრულება მაინც ეღირსათ.



სენსაციური შედეგით დასრულდა ვაჟთა შორის კვიპროსის წარმომადგენლის, მარკოს ბაგდადისისა და ავსტრალიელი ლეიტონ ჰიუიტის შეხვედრა. სპეციალისტები ფავორიტად ჰიუიტს მიიჩნევდნენ. ყველას გასაკვირად, პირველ სეტში ბაგდადისმა აშკარად დაჯაბნა მეტოქე — 6:1. მეორე სეტში ჰიუიტი თითქოს გამოფხიზლდა. მან 7:5 იმარჯვა, მაგრამ... კვიპროსელმა ჩოგბურთელმა მომდევნო ორი სეტი მოიგო 7:6, 6:2 და ნახევარფინალში გავიდა.



პირველ ნომრად განთესილმა შვეიცარიელმა როჯე ფედერერმა სამ სეტში 6:4, 6:4, 6:4 დაამარცხა ხორვატი მარიო ანჩიჩი, ხოლო იონას ბიორკმანს (შვედეთი) ხუთი სეტი დასჭირდა ჩეხი რადეკ სტეპანეკის დასამარცხებლად — 7:6, 4:6, 6:7, 7:6, 6:4

**გუშინ ვაჟთა ტურნირის ბოლო მეოთხედფინალისტი გაირკვა. ესპანელმა რაფაელ ნადალმა ფინელი იარკო ნიემინენი დაამარცხა. 6:3, 6:4, 6:4..**

## ბობი ჯექსონიც ნიუ ორლეანშია

„მემფის გრიზლისში" გატარებული სეზონის შემდეგ ბობი ჯექსონი თავისუფალი აგენტი გახდა. ეს გამთამაშებელი „ნიუ ორლეანს" სწორედ ამ სტატუსით შეუერთდება. საინფორმაციო სააგენტოები გარიგების ფინანსურ მხარეზე ინფორმაციას იმ მარტივი მიზეზით ვერ ავრცელებენ, რომ კონკრეტული ციფრები მათთვის ჯერჯერობით უცნობია. ყველაფერს ნათელი 12 ივლისის შემდეგ მოეფინება, როცა ეროვნულ საკალათბურთო ასოციაციაში სატრანსფერო ბაზარი გაიხსნება.

მოკლედ, კრაზანები აღარ ხუმრობენ - ჯერ იყო და, ნიუორლეანელებმა ისეთი სუპერკალათბურთელი დაიმატეს, როგორიც პეჯა სტოიაკოვიჩია, ახლა კი ბი-ჯექსიც გადაიბირეს.

## აიზერმანმა დიდი კალათბურთი დატოვა

NHL-ში კიდევ ერთი უდიდესი ეპოქა ჩაბარდა ისტორიას - „დეტროიტ რედ უინგზის" ლეგენდარულმა თავდამსხმელმა და კაპიტანმა სტივ აიზერმანმა სპორტული კარიერის დასრულება გადაწყვიტა. ის 22 წლის მანძილზე თამაშობდა ჰოკეის პროფესიულ დონეზე და 22-ე სეზონი „დეტროიტის" ფორმით გაატარა. აქვე იმასაც გეტყვით, რომ თავისი კლუბის შემადგენლობაში აიზერმანს სამჯერ აქვს მოგებული NHL-ის უმაღლესი ჯილდო, სტენლის თასი.

„შესანიშნავი კარიერა მქონდა. ძალიან მიჭირს იმის გათავისება, რომ ეს ყველაფერი წარსულს ჩაბარდა", - ამბობს გულდაწყვეტილი ჰოკეისტი.

აიზერმანს ერთი გენიალური მიღწევაც ეკუთვნის - ის 19 წლის მანძილზე იყო თავისი გუნდის კაპიტანი, რაც სრულიად ლიგის მასშტაბით სარეკორდო მაჩვენებელია. ლეგენდარული კაპიტნის აქტივშია აგრეთვე 2002 წელს, კანადის ნაკრების შემადგენლობაში, მოგებული სოლტ ლეიკ სიტის ოლიმპიადაც.

„სტივ აიზერმანი მუდამ იქნება NHL-ის ისტორიის ერთ-ერთი ყველაზე ნათელი ნაწილი. ლიდერის თვისებებით, გუნდისადმი ერთგულებით, თამაშის უმაღლესი ხარისხითა და ბრძოლის დაუოკებელი ჟინით ის „დეტროიტისა" და სრულიად ლიგის სიმბოლოდ იქცა", - ამბობს NHL-ის კომისარი გერი ბეტმენი.

## თარიღები

### დაიბადნენ

**7 ივლისი**

**ეზარდ ჩარლზი** (1921) — ამერიკელი მძიმეწონოსანი მოკრივე, მსოფლიოს ჩემპიონი.

**ანტონიო კარბალახი** (1929) — მექსიკელი ფეხბურთელი. მსოფლიოს 5 ჩემპიონატის მონაწილე.

**იურგენ გრამოვსკი** (1944) — გერმანელი ფეხბურთელი, მსოფლიოს 1974 წლის ჩემპიონი.

**მიშელ კვანი** (1980) — ამერიკელი მოციგურავე ქალი. მსოფლიო ჩემპიონი.

**8 ივლისი**

**ტოდ მარტინი** (1970) — ამერიკელი ჩოგბურთელი.

**ვიორალ მოლდოვანი** (1972) — რუმინელი ფეხბურთელი.

**კრისტიან აბიატი** (1977) — იტალიელი გოლკიპერი.

**10 ივლისი**

**ლეონიდ ბურიაკი** (1935) — კიევის „დინამოს" ფეხბურთელი, ევროპის ქვეყნების თასთა თასის მფლობელი, მწვრთნელი.

**არტურ ეში** (1945) — ამერიკელი ჩოგბურთელი, უიმბლდონის ტურნირის პირველი შავკანიანი გამარჯვებული.

## მოვლენა

**7 ივლისი**

1974 — გერმანიის ფეხბურთელთა ნაკრებმა მსოფლიო ჩემპიონატის ფინალში დაამარცხა ჰოლანდიის ნაკრები. გერდ მიულერმა გაიტანა მე-14 ბურთი, რაც წლევანდელ პირველობამდე რეკორდად ითვლებოდა. ეს რეკორდი რონალდომ მოხსნა.

1985 — 17 წლის ბორის ბეკერმა უიმბლდონის საჩოგბურთო ტურნირი მოიგო.

1999 — ეთიოპიელმა მორბენალმა ხ. გუერეიმ ერთი მილი 3 წუთსა და 43,13 წამში გაირბინა, რაც მსოფლიო რეკორდია.

**8 ივლისი**

1990 — გერმანიის ფეხბურთელთა ნაკრები მესამედ გახდა მსოფლიო ჩემპიონი. ფინალში გერმანელებმა 1-0 მოუგეს არგენტინელებს.

**10 ივლისი**

1960 — საბჭოთა კავშირის ფეხბურთელთა ნაკრებმა ევროპის თასი მოიპოვა.

1995 — ირლანდიელმა მორბენალმა სინია ო'სალივანმა მსოფლიო რეკორდი დაამყარა 2000 მეტრზე რბენაში.

2000 — ჯოვანი ტრაპატონი იტალიის ნაკრების მთავარ მწვრთნელად დაინიშნა.

## მნიშვნელოვანი სპორტული გადაცემები




**7 ივლისი, პარასკევი**

EUROSPORT. ფეხბურთი. მსოფლიო ჩემპიონატის კულისებში (10.30), ავტოსპორტი. მსოფლიო ჩემპიონატი ტურინგის კლასში (11.00) სპიდკეი. დანიის გრან პრი (12.00), სნუკერი. დიდების დარბაზი (13.30), ველოსპორტი. ტურ დე ფრანსი (14.30), მსოფლიო ფეხბურთის ლეგენდები (20.15), ველოსპორტი (23.45), ექსტრემალური სპორტი (1.45). EUROSPORT-2 ახალი ამბები (7.00, 8.00, 9.00, 12.00, 13.00). ფეხბურთი. მსოფლიო ჩემპიონატი. პრესკონფერენციები (9.45, 10.45, 11.45, 12.45), რაგბი. იაპონიის ფიჯი (17.00), საპლაჟო ფრენბურთი. მსოფლიო ტური (18.00), ორთაბრძოლები (20.00), სნუკერი. დიდების დარბაზი (22.00), კრივი (0.00). **„პლანეტა სპორტი".** მძლეოსნობა. გრან პრი (12.25), პროფესიული კრივი (14.45), სროლა. მსოფლიო თასი (18.55).

**8 ივლისი, შაბათი**

**საქართველოს ტელევიზია. საზოგადოებრივი არხი.** სპორტული პროგრამა „არენა" (22.30), ფეხბურთი. მსოფლიო ჩემპიონატი. მატჩი მე-3 ადგილისათვის. (23.00), **„რუსთავი2",** საფეხბურთო მიმოხილვა (22.00), მსოფლიო ჩემპიონატი. მატჩი მე-3 ადგილისათვის (23.00), EUROSPORT. ფეხბურთი. მსოფლიო ჩემპიონატის. კულისებში (10.30, 1.15), ექსტრემალური სპორტი (11.00), მსოფლიო ფეხბურთის ლეგენდები (11.30), ბალახით ჰოკეი. ჩემპიონთა პრიზი. ქალები. გერმანია — ჩინეთი (12.30), საპლაჟო ფრენბურთი (14.00), ველოსპორტი. ტურ დე ფრანსი (15.00), ბალახის ჰოკეიი. ჰოლანდია — ავსტრია (21.00), სროლა. საერთაშორისო შეჯიბრება (23.45), EUROSPORT-2. ფეხბურთი. მსოფლიო ჩემპიონატი. პრესკონფერენციები (7.45, 8.45, 9.45), ბალახის ჰოკეი. ჩემპიონთა პრიზი. ქალები. გერმანია — ჩინეთი (14.00), საპლაჟო ფრენბურთი. მსოფლიო ტური (19.00), ბალახის ჰოკეი. ქალები. ახალი ზელანდია — არგენტინა (16.30), ჰოლანდია — ავსტრალია (17,30), **„პლანეტა სპორტი".** პროფესიული კრივი (13.45), სროლა (14.45), ბილიარდი (17.15).

**9 ივლისი, კვირა**

**საქართველოს ტელევიზია. საზოგადოებრივი არხი.** ფეხბურთი. მსოფლიო ჩემპიონატი. ფინალი (22.00) **„რუსთავი 2".** საფეხბურთო მიმოხილვა (20.30), ფეხბურთი. მსოფლიო ჩემპიონატი. ფინალი (22.00), EUROSPORT. ფეხბურთი. მსოფლიო ჩემპიონატის კულისებში (10.30, 15.00), მსოფლიო ფეხბურთის ლეგენდები (11.00), ბალახის ჰოკეი. ჩემპიონთა პრიზი ჰოლანდია — ავსტრალია (12.00), საპლაჟო ფრენბურთი (14.00), ველოსპორტი. ტურ დე ფრანსი (17.00), ავტოსპორტი (20.15), EUROSPORT-2. ფეხბურთი. მსოფლიო ჩემპიონატი. პრესკონფერენციები (11.45, 12.45), ბალახის ჰოკეი. ჩემპიონთა პრიზი. ქალები (14.00), საპლაჟო ფრენბურთი (18.00) , ბალახის ჰოკეი (20.00).

## კროსვორდი

### 2006 წლის მსოფლიო ჩემპიონატი ფეხბურთში „ლელოს" კროსვორდში



**თარაზულად:** 3. ეკვადორელთა ნახევარმცველი, 8. ქალაქი, რომელმაც უმასპინძლა ნახევარფინალურ მატჩს, 9. გერმანელთა მცველი, 11. ირანელთა ნახევარმცველი, 12. თერთმეტმეტრიანი, ანუ... 13. ფრანგთა თავდამსხმელი, 14. ბრაზილიელთა ნახევარმცველი, 15. ამერიკელთა თავდამსხმელი, 18. საფრანგეთის საკ. კლუბი (შემოკლებით), 20. ბრაზილიელთა მცველი, 24. განელთა ინგლისელი („ჩელსი") ნახევარმცველი, 25. გერმანელთა მცველი, 26. გერმანიის საფეხბ. კლუბი, 27. კოტ დ'ივუარის მცველი, 28. კორეელთა მცველი.

**შვეულად:** 1. ტუნისელთა მწვრთნელი, 2. ჩემპიონატის მასპინძელი ერთ-ერთი ქალაქი, 3. კოტ დ'ივუარის მეკარე, 4. საფრანგეთის საფეხბ. კლუბი, 5. შვედთა თავდამსხმელი, 6. შვედთა თავდამსხმელი, 7. კორეელთა მეკარე, 10. მექსიკელთა მცველი, 15. ინგლისის კლუბი, 16. საფრანგეთის საფეხბ. კლუბი, 17. განელთა მეკარე, 19. ანგოლელთა ნახევარმცველი, 21. კოტ დ' ივუარის ნახევარმცველი, 22. ჰოლანდიელთა თავდამსხმელი, 23. იტალიელთა მწვრთნელი, 25. მატჩის შედეგი.

შეადგინა
თორნიკე გაჩეჩილაძემ.

## საჭადრაკო ეტიუდი

### შოშინი (1905 წ)



თეთრები იგებენ

№49-ში გამოქვეყნებული ამოცანის ამოხსნა: 1. ეf4+
1. ..... კe2 2. ეd4 მფc8 3. ე:h4 c3+ 4. მფc6 კf3 5. მფb5 c2 5.ეc4.....

## წინა ნომრის კროსვორდის პასუხები

**თარაზულად:** 3. პაკეტა, 6. გრეი, 8. ბალაკი, 10. ფრიდრიხი, 11. ებუე, 12. ოლეგი, 13. გროსო, 14. კოქსი, 15. ჩო, 17. ნაკატა, 19. სენაია, 22. ვალე, 24. მიშელი, 25. პინედა, 27. ტონი, 28. პარეირა, 29. უიტლი, 30. ირანი, 31. აგბო, 32. ლი.

**შვეულად:** 1. ძამბროტა, 2. ვალენსია, 3. პირლო, 4. კუფრე, 5. ტაიმი, 7. ერიქსონი, 9. არაგონესი, 16. ქააბი, 17. ნოვოტნი, 18. კალანგა, 20. ამელია, 21. აბიდალი, 23. ნესტა, 26. აპია.

მთავარი რედაქტორი თენგიზ გაჩეჩილაძე